უნდა აღინიშნოს აგრეთვე seajack და shipjacker - ორივე სიტყვა ანალოგიით შეიქმნა სიტყვისაგან hijack, როდესაც, 1985 წელს, ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე გემით მოიტაცეს. საერთოდ, ძალადობის ამ ტიპს ძირითადად ადგილი აქვს თვითმფრინავზე და ამიტომ ჯერ წარმოიშვა სიტყვა skyjack - 1961 წელს და შემდეგ კი seajack და shipjacker, ამ უკანასკნელის მიბაძვით.

სპორტულ ტერმინოლოგიაში იხმარება: sportoons < sports + cartons. ძალზე ხშირად ვხვდებით სავაჭრო მარკის Adidas-ის სახეწოდებას, რომელიც ისე გაშინაურდა ჩვენს ტერმინოლოგიაში, რომ შესაძლოა, ვერც ვიფიქროთ, რომ ეს არის სპორტული ტანსაცმლის, ფეხსაცმელებისა და სუნამოების მწარმოებელი კომპანიის დამაარსებლის - Adi Dassler -ის სახელისა და გვარისაგან მიღებული შენაზარდი. Adidas -მა მიიღო სხვა, უფრო სპორტულ - იუმორისტული გაშიფვრაც: "All Day I Dream About Sport".

ტელევიზიაში მომუშავე პირები აქტიურად იყენებენ შენაზარდს informercial < information + commercial. როგორც ვიცით, ეს თხუთმეტწუთიანი სატელევიზიო გადაცემაა საკაბელო ტელევიზიით, სადაც ინფორმაციისა და რეკლამის თანადროული გადაცემა ხდება. ამ ტიპისაა infotainment < information + entertainment, პოპულარული საინფორმაციო-გასართობი პროგრამა. ახალგაზრდების ტერმინოლოგიაში ხშირად ვხვდებით ისეთ შენაზარდებს, როგორებიცაა dancercise < dance + exercise; jazzercise < jazz + exercise; abusak < abuse + musak; fanac fan activity; fanzine < fanatic's magazine; propas < professional parents [10, 11].

ტელესკოპიზმები არღვევენ მორფოლოგიის საზღვრებს და ორიგინალურ კომპონენტებად გვევლინებიან. მათ ძირითადად სასაუბრო ელფერი აქვთ, თუმცა, არც თუ ისე ხშირად გვხვდებიან სამეცნიერო ან ტექნიკურ ლიტერატურაშიც, ახალი საგნების სახელწოდებების დასარქმევად ან რეკლამებში. შენაზარდების ნაწილს ენის ლექსიკონი ითვისებს და ენაში მკვიდრდება. მართალია, ენის ცვლილების დროს ბევრი ტელესკოპიზმი კარგავს ფუნქციას, მაგრამ წარმოქმნიდან გარკვეული დროის მანძილზე ასეთი წარმონაქმნები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ლიტერატურა
Literature
Литература

11. Бортничук Е.Н., Василенко И.В, Пастушенко Л.П - Словообразование в современном Английском языке, 1988
12. Борисов В.В. - Аббревиатуры и акронимы в военно-полит. терминологии, М., 1972
13. Kelly Michael H - To “brunch” or to “Brench”: some aspects of blend structure, 1998
14. Cannon G. - Blends in English Word-formation, 1986
15. Adams Valerie. - An introduction to modern English Wordformation, London, 1973
16. Жлутенко Ю.А.- Английские неологизмы , Киев, 1983
17. Dickson Paul - The Authoritative Topic-by-topic Dictionary of American Lingoes From All walks of Life, 1999
18. Ayto John - The Longman Register of New Words. Русский язык. Москва, 1990
19. Thurner Dick - Portmanteau Dictionary: Blend words in the English Language, Including Trademarks and Brand Names, 2003
20. McFedries Paul - Word Spy: The Word Lover’s Guide to Modern Culture, 2003
21. Algeo John - Blends, a structural and systemic view, 1977
22. Ginzburg R.S., 1979, 57

რეზიუმე

შენახარდები ინგლისური ენის ლექსიკაში

ეკატერინე ბაკარაძე

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება შენახარდებს ინგლისურ ენაში, რომლებიც მოიცავენ ორი სხვადასხვა სიტყვის აზრსა და ხმოვანებას, სადაც ორი მნიშვნელობა ერთ სიტყვაშია გადმოცემული. პორტმანტო სიტყვები განხილულია, როგორც ინგლისურ ენაში ერთ-ერთ სიტყვამაწარმოებელი საშუალება. მოცემულია ტელესკოპიზმების განმარტება, გაანალიზებულია მათი წარმოშობისა და განვითარების ეტაპები. კვლევის საგანს წარმოადგენს შენახარდების წარმოების თავისებურებებისა და მათი დამოკიდებულების შესწავლა ინგლისური ენის ლექსიკასთან. შესწავლილია სხვადასხვა სფეროში არსებული ტელესკოპიზმების შექმნისა და გამოყენების სპეციფიკა, მათი პროდუქტიულობა. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია შენახარდების ფუნქცია თანამედროვე ინგლისური ენის სხვადასხვა სფეროს პროფესიული თუ სამეცნიერო ლექსიკის ახალი სიტყვებით გამდიდრებაში.

SUMMARY

Blends in English Language Vocabulary

Ekaterine Bakaradze

The present article is about portmanteau words, which mash together the sounds and meanings of two other words. Blend words are discussed as one of the productive ways of present-day English word-formation. Definition of telescopisms, their creation, stages of development is analyzed. The subject of research is also the study of characteristics of the formation of portmanteau words and their relation with the English Language vocabulary. Specificity of creation and usage, productivity of blendings in various fields are also studied. The function of blends in different spheres of professional and colloquial usage of present-day English language in enrichment of the vocabulary with new words is also discussed.

РЕЗЮМЕ

Слияния в лексике английского языка

Екатерина Бакарадзе

В данной статье рассматриваются слияния в английском языке, сформированные из звуков и значений двух разных слов. Статья рассматривает слова портманто, как один из продуктивных способов словообразования в современном английском языке. Представлена пояснение телескопизмов, проанализирована их создания, этапы развития. Предметом исследования является особенности формирования слияния, изучение их отношения с терминологией английского языка. Изучена специфика создания, использования и продуктивность телескопизмов в разных сферах профессионального и разговорного использования современного английского языка в обогащение лексики новыми словами.

ევროკავშირ-საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკა

გიორგი მანგოშვილი,
სტუ-ს მაგისტრი

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს შეიმუშავა, 2007 წლის 3 სექტემბერს ბრიუსელში პირველად გაიმართა შეხვედრა ყველა პარტნიორი ქვეყნის მონაწილეობით. თვით ევროკავშირი, როგორც ცნობილია, 27 ქვეყანას მოიცავს, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა კი 16 ქვეყანას ეხება, მათ შორის არის საქართველოც. შესაბამისად, საქმე ეხება როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე ისტორიული გზით განსხვავებულ რეგიონებს. თუმცა, საერთო ამ შემთხვევაში არის ის, რომ ევროკავშირი ყოველ მათგანს, 16-ვე ქვეყანას სთავაზობს პრივილეგიურულ ურთიერთობას, საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული გზებით საერთო მიზნების მიღწევას.

ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზუს ამ დღისთვის გაკეთებული განცხადებით: „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპია დიფერენციაცია, განსხვავებული მიდგომა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა არ არის და არც არასოდეს ყოფილა პოლიტიკა, რომელიც ყველასადმი ერთნაირ მიდგომას ითვალისწინებს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის იმდენივე ვარიანტი არსებობს, რამდენი პარტნიორი ქვეყანაც გვყავს, არ შეგვიძლია და არც გვსურს ჩვენს პარტნიორებს შორის განსხვავებათა იგნორირება.“

და მაინც, საერთოს დაუბრუნდეთ. საერთოა ის, რომ სამეზობლო პოლიტიკის წევრებს არ გააჩნიათ ევროკავშირში ახლო მომავალში გაწევრიანებას პერსპექტივა, რომ საქმე ეხება საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ, პრაქტიკული სარგებლის მომტან თანამშრომლობას და არა პოლიტიკურ ინტეგრაციას. ამიტომაც არის, რომ ევროკავშირი მეზობლებთან ურთიერთობაში დღესდღეობით ნაკლებ აქცენტს აკეთებს პოლიტიკურ რეფორმებზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე – იმ საკითხებზე, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნებისთვის. ევროკავშირი და მისი მეზობლები ამჟამად თავს არიდებენ პოლიტიკურ სტანდარტებზე საუბარს: ლაპარაკობენ ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობაზე, ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაზრდაზე, სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე.

ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა ისაუბრა ევროკავშირის წარმოდგენაზე, როგორი უნდა იყოს ევროკავშირის მეზობლებთან ურთიერთობა მომავალში: „ჩვენ წარმოგვესახება ეკონომიკურად ინტეგრირებული არეა, რომელიც გადაჭიმულია მთელს ევროკავშირზე და მის უახლოეს ევროპულ და ხმელთაშუაზღვის პირა პარტნიორებზე. ეს უნდა იყოს არეა, რომელშიც თავისუფლად გადაადგილდება ნაწარმი, მომსახურება და კაპიტალი.“

ამ მიზნის მისაღწევად, დასძინა ფერერო-ვალდნერმა, ევროკავშირი საჭიროდ მიიჩნევს თავისუფლი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადებას, გარდა ამისა, მიზანშეწონილია სავიზო რეჟიმის გამარტივება: მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის ვიზების „უფრო მარტივად, უფრო იაფად და უფრო სწრაფად“ გაცემა.

ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის მიზანი ქვეყნის არა ევროკავშირში გაერთიანება, არამედ მისი ევროპული ინტეგრაციაა. რა თქმა უნდა, საქართველოს ევროკავშირში შესვლისაკენ სწრაფვის გამოხატვა არ ეკრძალება. ევროკავშირის წესდება ისეთს არაფერს შეიცავს, რამაც შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, პრინციპში, შეუძლებელი გახადოს. ზოგი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ დროის საქმეა. მაგრამ რა უნდა გაკეთდეს ამასობაში? საქართველოსა და ევროკავშირს შორის მთავარი ბარიერი მხოლოდ ქვეყნის საკანონმდებლო და მარეგულირებელი

სისტემა კი არ არის, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და კანონის უზენაესობის დონეა. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითია რუმინეთი. ეკონომიკური რეფორმის მიზანი არა თავისთავად კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, არამედ ჰარმონიზებული კანონმდებლობის ეკონომიკის განვითარების ინსტრუმენტად გამოყენებაა.

საქართველო უკვე შეუდგა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის (ENP AP) განხორციელებას, რომელიც 2006 წლის ნოემბერში დამტკიცდა. დოკუმენტში განსაზღვრულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის საშუალოვადიანი თანამშრომლობის პრიორიტეტები 5 წლის ვადით. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა პარტნიორებს ახალ პერსპექტივებს მრავალ სფეროში სთავაზობს. სხვა საკითხებთან ერთად იგი ფოკუსირებულია საქართველოში ეკონომიკური ზრდის მდგომარეობასა და სიღარიბის შემცირებაზე, ბიზნესგარემოსა და მმართველობის სრულყოფაზე, ევროკავშირ-საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებაზე, ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის ეკონომიკურად განვითარების მიზნით ვაჭრობის ბარიერების მოხსნაზე, ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობაზე, მათ შორის რეგიონულ ჭრილში. 2007 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების სტრატეგია მიმდინარე წლისთვის, ხოლო ივლისში ბათუმში გამართულ მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციაზე მოაწყო აღნიშნული გეგმის პრიორიტეტულ სფეროებში მიმდინარე და დასახლი დონის ძიებების პრეზენტაცია.

ENP AP ქვეყანაში პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელოვანი წყარო ხდება. მთავრობის, ახლახან მიღებულ, საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტში, „2008-2011 წლების ძირითადი მაჩვენებლები და მიმართულებები“, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული პოლიტიკური პროგრამა. მომავალში მთავრობა აპირებს პოლიტიკური გადაწყვეტილებები უფრო მეტად შეუსაბამოს სამოქმედო გეგმის ამოცანებს.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ამბიციურ მიზნებს ისახავს, რაც საზიარო ღირებულებებზე ვალდებულებებს, პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმების ეფექტურ განხორციელებაზეა დამყარებული. სამოქმედო გეგმაში დიდი ადგილი ეთმობა სასამართლო სისტემის, პენიტენციალური სისტემის, დემოკრატიული ინსტიტუტის, ადამიანთა უფლებების და თავისუფლების პრობლემების მოგვარებას. საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა კავშირები დაამყაროს კულტურის, განათლების, გარემოს დაცვის და მეცნიერების სფეროში.

მნიშვნელოვანია ბიზნესის, საინვესტიციო გარემოს, პრივატიზაციის პროცესის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები: უნდა გაუმჯობესდეს და განვითარდეს ბიზნესგარემო, კერძოდ ბიზნესის წამიწყების პირობები, უნდა მოგვარდეს მუშახელის დაქირავებისა და სამსახურიდან დათხოვნის, საკუთრების დეგისტრაციის, კრედიტის მიღების, ინვესტორთა დაცვის, კონტაქტების გაძლიერების და ბიზნესის დახურვის საკითხები. საქართველოს საბაჟო კოდექსი ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებთან უნდა იყოს ჰარმონიზებული, მან საბაჟო პროცედურები უნდა გაამარტივოს. უნდა ჩამოყალიბდეს იმპორტისა და ექსპორტის რეგულირებისა და პროცედურების საკონსულტაციო საინფორმაციო მექანიზმი.

უნდა გაძლიერდეს საგადასხადო ადმინისტრაციის გამარტივება, კომპიუტერიზაცია და მოდერნიზაცია. 2009 წლისთვის უზრუნველყოფი უნდა იყოს ბოლო ხანს მიღებული ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელება და პრივატიზაციის პროცესის გაგრძელება.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკის განვითარების დახმარებას, ხოლო სიღარიბესთან ბრძოლა და სოციალური ერთობა ეკონომიკის კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისობას გულისხმობს. სავალუტო და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფილად გატარებამ მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის

დამოუკიდებლობით უნდა მოხდეს. ეფექტური მენეჯმენტის სისტემები უნდა ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო, სოცუზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, და ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით უნდა გაგრძელდეს განათლების რეფორმა, გაუმჯობესდეს სტატისტიკის ხარისხი. უნდა გადრმავდეს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები, რაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას გულისხმობს უახლოეს პერიოდში.

როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში, ეკონომიკური ინტეგრაცია ვაჭრობით იწყება. ევროპული სამეზობლო პოლიტიკით ევროკავშირი მეზობელი ქვეყნებისთვის თავის შიდა ბაზრებს ხსნის უფრო მეტად, ვიდრე ამას „არაინტეგრაციული“ სავაჭრო დებულებები ითვალისწინებს, რომლებიც დაფიქსირებულია პარტნიორობის და თანამშრომლობის ხელშეკრულებაში. თუკი PCA მოიცავს რეგულირების სფეროში „თანამშრომლობის“ და ეროვნული კანონმდებლობის ევროპულთან „თანდათანობითი დაახლოების“ მსუბუქ ვალდებულებებს, სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება ამზადებს საფუძველს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისთვის“ ნებისმიერ პარტნიორთან, მათ შორის საქართველოსთან.

–ის გაძლიერებაზე ზემოაღნიშნული საინფორმაციო ცნობის მიხედვით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ არსებითად ყველა სახის ვაჭრობა და მომსახურება უნდა მოიცვას, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პროდუქტი. ევროკავშირი ასევე მზადაა დაუშვას გარკვეული ასიმეტრია, ისეთი, როგორც უკვე არსებობს საქართველოსთვის პრეფერენციების განზოგადებული სისტემის GSP+ სახით.

ასეთი შეთანხმება უნდა მოიცავდეს იურდიულად სავალდებულო დებულებებსაც ვაჭრობისა და ეკონომიკური რეგულირების სფეროში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთიანი მარეგულირებელი ბაზის არსებობასა და ბაზარზე ერთგვაროვან დაშვებას. ბუნებრივია, როგორც ევროპული პროექტი – ENP სამოქმედო გეგმის მეშვეობით ქვეყანას რეგულატიური რეფორმის გატარებას კარნახობს. ამ მიმართულებით რეფორმის ძირითადი სამიზნეებია საბაჟო სფერო, ესტ ნდარტიზაციის, სერთიფიკაციის და აკრედიტაციის სისტემები, ასევე ვეტერინარული და ფოტოსანიტარული, სურსათის უვნებლობის სტანდარტები. ასევე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული კონკურენციის დაცვის პოლიტიკა, საწარმოთა კონკურენტულობა, ინოვაცია და სამრეწველო პოლიტიკა, თანამშრომლობა კვლევით საქმიანობაში, კარგი მმართველობა დაბეგვრის სფეროში, საწარმოთა შესახებ კანონი, სახელმწიფო შესყიდვები, ფინანსური მომსახურება. ამ სფეროებში შესაბამისმა რეფორმამ ხელი უნდა შეუწეოს საქართველოს ვაჭრობის განვითარებას ევროპის კავშირთან. რეფორმის წარმატება ასევე იმოქმედებს ევროკავშირის ინსტიტუტებზე, რათა საქართველოსთან უფრო ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმი დამყარდეს. ეს ნიშნავს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის სავაჭრო და მარეგულირებელი დებულებების სრულ განხორციელებას ისე, რომ ვაჭრობისა და რეგულირების სფეროებში მიღწეულ იქნეს სრული ჰარმონიზაცია. აქედან გამომდინარე ENP, როგორც პოლიტიკური ჩარჩო, ასოცირებული შეთანხმების ფარგლებსაც კი სცდება და ქვეყანას ევროპის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანებას სთავაზობს. ჰარმონიზების რეალური წარუმატებლობა კი ნებისმიერ (ან რამდენიმე) ზემოაღნიშნულ სფეროში საშუალოვადიან პერსპექტივაში აუცილებლად დააკნინებს თავისუფალ ვაჭრობაზე მომავალი ხელშეკრულების სიდრმესა და სრულყოფილებას. ამან შეიძლება იმოქმედოს ახალი, უფრო მძლავრი შეთანხმების შინაარსზეც, რომელმაც PCA უნდა ჩაანაცვლოს. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა საკმაოდ მოქნილია იმისთვის, რომ გაითვალისწინოს კონკრეტული ქვეყნის მდგომარეობა და, თუ საჭიროა, გაახანგრძლივოს რეგულირების სფეროში ჰარმონიზების ვადები. მაგრამ, სამოქმედო გეგმის

განხორციელების დროს აუცილებელია საიმედო პროგრესის მიღწევა, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ ქვეყანა მზად არის და ძალუძს ევროკავშირთან ინტეგრაცია.

სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის შესახებ და გათვალისწინებულია ევროპის კავშირის ტრანსპორტისა და ენერჯეტიკის ქსელის შექმნა, რათა „ბაქოს ინიციატივის“ ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნეს ევროკავშირის, შავი ზღვის სახელმწიფოებისა და კასპიის რეგიონის ეფექტური თანამშრომლობა.

საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო დერეფნის საკვანძო რგოლს წარმოადგენს. აღნიშნული დერეფნის განვითარება არა მხოლოდ ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს, არამედ მთელ რიგ ენერჯეტიკულ პროექტებსაც, რომლებიც ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაციას ისახავენ მიზნად. პოლონეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილის პეტრე ნაიმსკის განცხადებით, საქართველოს გავლით ახალი მილსადენის მშენებლობა შავი ზღვით უკრაინასა და პოლონეთის გავლით ევროპისკენ მეტად მნიშვნელოვანია მთელი ევროპისთვის და ეს ევროპის ენერჯეტიკული უსაფრთხოების ქვაკუთხედიცაა. ევროპას არ სურს, დამოკიდებული იყოს რუსეთზე და მან თავისი პირობები გვიკარნახოს.

ევროპის ენერგოუსაფრთხოების თემას ეხება გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ პოლონეთის ეკონომიკის მინისტრ პიოტრ ვოზნიაკთან, რომელიც თბილისში 2007 წლის 26 სექტემბრის ფორუმისა და, კერძოდ, ახალი ნავთობსადენის პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს. საქმე ეხება ოდესა-ბროდი-პლოცკის მილსადენს, რომელიც კასპიის ნავთობს ევროპას მიაწვდის: „ევროკავშირის ზოგიერთ წევრს სურს, რომ ეს ნავთობი სამხრეთ ევროპისკენ წავიდეს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მაინცდამაინც სამართლიანი არ არის. სამხრეთის რეგიონში ნავთობის გატარების დიდი შესაძლებლობებია. ამიტომაც ახლა მნიშვნელოვანი ცენტრალური ევროპის და ჩრდილოეთის რეგიონის ალტერნატიული ნავთობსადენია.“

საერთაშორისო ენერჯეტიკულ ბაზარზე დღეისათვის ჩამოყალიბებული სიტუაცია განაპირობებს ბუნებრივი გაზის მიწოდების ალტერნატიული, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი და რუსეთის გავლენისაგან თავისუფალი მარშრუტების მშენებლობის საკითხის გლობალურ სტრატეგიულ მნიშვნელობას. სატრანზიტო მილსადენების ამ პროექტების რეალიზაცია უზრუნველყოფს ევროპული ენერჯეტიკული ბაზრის დივერსიფიკაციას, საქართველოს და სუამ-ის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმატებულ ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებში და რეგიონის მდგრად განვითარებას, ბოლოს მოუღებს საერთაშორისო ენერჯეტიკული ბაზრის სტრატეგიული რესურსით უზრუნველყოფის მონოპოლიზებას ერთი კომპანიის მიერ. 2007 წლის 10 ოქტომბერს ლიტვაში შედგა შეხვედრა ენერჯის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ე.წ. „თეთრი ნაკადის“ პროექტის განხორციელებას, რომელიც ზემოთ აღნიშნული თემის გაგრძელებაა და გულისხმობს საქართველოს გავლით მილსადენების გაყვანას, გაზის და ნავთობის ალტერნატიულ ტრანსპორტირებას ევროპაში რუსეთის გვერდის ავლით. ერთი მარშუტი წავა ნაბუკოს მიმართულებით, ხოლო მეორე შავ ზღვას გადაკვეთს. საუბარია ოდესა-ბროდის ნავთობსადენზე, რომელსაც ძირითადად ბალტიისპირეთი და პოლონეთი გამოიყენებს. თურქმენეთთან დაწყებული მოლაპარაკებების შემდეგ ევროპისთვის ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს ასეთი ალტერნატიული მილსადენები. ვილნიუსში რეგიონული უსაფრთხოების კონფერენციაზე ყველა დაინტერესებული მხარე მაღალი წარმომადგენლობით იყო, გარდა რუსეთისა, იგი ყველაზე დაბალი წარმომადგენლობით გამოირჩეოდა გასაგები მიზეზების გამო. კონფერენციას ესწრებოდა ამერიკის წარმომადგენელი მეთიუ ბრაიზაც.

უახლოეს მომავალში საქართველო იქნება ტრანსკასპიური მილსადენის გამტარებელი ევროპაში და ის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპის

ენერგო უსაფრთხოებასა და კავკასიისა და ევროპის შემდგომ ურთიერთობებში. ევროპის ენერგო უსაფრთხოების კონტექსტში აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სტრატეგიულ თანამშრომლობას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და შახდენიზ-თბილისი-ერზერუმის გაზსადენებს. სტრატეგიული თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა, იგი ე.წ. „სამხრეთის“ გაზსადენებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური უსაფრთხოების, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობა ეძლევა, მას შეუძლია გააფართოვოს რეგიონული და სასაზღვრო თანამშრომლობა. უფრო სრულყოფილი ინტეგრაციის ღონისძიებებით, კაპიტალის მოძრაობითა და ინსტიტუციური ჰარმონიზაციით შეძლებს საქართველო სარგებლობა მიიღოს ევროკავშირის ეკონომიკური გახსნილობით. ინსტიტუციური სივრცეების შექმნა ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფორმაა და ძალიან უწყობს ხელს ამ სივრცეში ვაჭრობის განვითარებასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. სწორედ ამის მოტანა შეუძლია ევროკავშირს საქართველოსთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ევროკავშირთან საქართველოს კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების მიახლოების საკითხში. ამ კონტექსტში, სამოქმედო გეგმა შექმნის ეკონომიკის ინტეგრაციის სოლიდურ საფუძველს, რომელიც ეკონომიკისა და სავაჭრო ურთიერთობების წესების მიღებასა და განხორციელებაზე, ასევე, რეგულაციებზე, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე, ინვესტიციებსა და განვითარებაზე იქნება დამყარებული. ის დადებითად იმოქმედებს პოლიტიკის განხორციელებასა და დაგეგმვაზე, გრძელვადიანი მიზნების დასახვით ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, სოციალურ ერთობას, სიღარიბესთან ბრძოლასა და გარემოს დაცვას.

ევროკავშირთან ინტეგრაციულ ბლოკში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეროვნული ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, საქართველო განვითარებული ქვეყნების დანამატად კი არ იქცეს, არამედ იყოს ევრაზიის დამაკავშირებელი, თანასწორთა შორის თანასწორი პარტნიორი ქვეყანა. ეროვნული თვითშეგნების აღდგენის და განმტკიცებისთვის საჭიროა ფეხზე მყარად მდგომი ძლიერი ეკონომიკა, რომლის წარმატებული განვითარებაც სახელმწიფოს თანმიმდევრული და აქტიური ჩარევის შედეგია.

ლიტერატურა

Literature

Литература

1. კაპანაძე ს., „ევროკავშირის პოლიტიკა“, თბილისი, 2006;
2. „ევროპის საბჭო“ – ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო, თბილისი, 2006;
3. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტლური მიმოხილვა, ივლისი, 2007;
4. „ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“, <http://www.geplac.org>;
5. გოჩიტაშვილი თ., კრაკაუსკასი მ., აბულაშვილი გ., „საქართველო ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის კონტექსტში“, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტლური მიმოხილვა, ივნისი 2006;
6. „ევროპული სამეზობლო პოლიტიკა“, <http://www.eu.europa.eu>;
7. „ევროპის ენერგო უსაფრთხოება“, გაზეთი „რეზონანსი“, 25 სექტემბერი 2007;
8. ჭიაურელი მ. „ევროკავშირი მეზობლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობას აპირებს“, <http://www.tavisupleba.org>

რეზიუმე

ევროკავშირ-საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკა

გიორგი მანგოშვილი

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიზანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა ევროკავშირის შიდა ბაზარზე დაშვებითა და ქვეყანაში ისეთი ვითარების შექმნით, როდესაც იგი ოთხი ძირითადი თავისუფლების – საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალი მოძრაობის – სიკეთით სარგებლობას შეძლებს. ამისათვის საჭიროა, რომ საქართველომ გაზარდოს თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების დონე ერთდროულად. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული კონტექსტი, შავი ზღვის რეგიონი და საკვანძო სატრანზიტო ფუნქცია თანამშრომლობისთვის სულ უფრო ძლიერ ასპარეზად გვევლინება. საქართველოს ინტერესებშია, რომ გაღმავდეს რეგიონში თანამშრომლობა და მოხდეს ინსტიტუციური ევროპეიზაციის დაჩქარება

SUMMARY

European Neighbourship Policy of European Union and Georgia

Giorgi Mangoshvili

The goal of performance plan of European Neighbourship Policy is to promote Georgian economy development by penetration into the internal market of EU and creation such situation in the country when it will be able to profit by four essential liberties – free motion of goods, service, capital and people. To achieve it, Georgia needs to increase its economic rate and simultaneously to raise the level of approaching to EU standards. For such a small country as Georgia it's also very significant that the regional context, Black Sea region and junction transition function appear more and more effective field for cooperation. Georgian interests include cooperation intensification in the regions and acceleration of institutional Europeanization proceedings.

РЕЗЮМЕ

Европейская добрососедская политика Евросоюза-Грузии

Гиорги Мангошвили

Целью плана действий европейской добрососедской политики является содействие экономическому развитию Грузии с допущением ее на внутренние рынки Евросоюза и созданием в ней такой обстановки, при которой она сможет пользоваться четырьмя основными свободами – благами – свободным движением товара, обслуживания, капитала и людей. Для этого необходимо, чтобы Грузия одновременно возростила свои экономические показатели и уровень приближения к европейским стандартам. Для такой маленькой страны как Грузия, также необходим региональный контекст, регион Черного моря и узловая транспортная функция становятся все более и более сильной и эффективной ареной для сотрудничества. В интересах Грузии углубить сотрудничество в регионе и ускорить процессы институциональной европеизации.

Does Europe Need a Harmonized Tort law?

**Giorgi Khojevanishvili,
L.L.M. in Public International and European Law,
Riga Graduate School of Law**

Introduction

Some centuries ago an issue of harmonization of tort law was unthinkable, but nowadays it is very important topic. During many years tort law has been developing independently in different countries, now we are standing in front of dilemma, does Europe need the harmonized tort law? It is still unanswered question.

In this short paper I would like to address Principles of European Tort Law, the process of harmonization, advantages and disadvantages of it, economical and law approaches in respect to tort law.

Principles of European Tort Law

Speaking on tort law, it is impossible not to talk about the “Principles of European Tort Law”, which was drafted by the “European Group on Tort Law”. This group consist about 20 members, who are all well-known tort law scholars. After some years of hard working and discussing, the principles were published in 2005. The main purpose of these principles was to present a common framework for the development of the national law as well as harmonization of law of torts in Europe. Such a framework could avoid a further divergence in the rule-making process on a national as well as the European level.

The detailed analysis of the full text of the principles can not be provided in this paper, but I would like to note main points. The above-mentioned principles include the most important pressure points of any European-style law of torts: the rule that life, bodily or mental integrity, human dignity and liberty receive “the most extensive protection”, the rule that damages are limited to normal losses, so that abnormally high losses need not be compensated; property rights “extensive protection” and pure economic interests or contractual interests “more limited protection”, the very narrowly defined rule on strict liability, which only concerns abnormally dangerous activities, and a number of rules for assessing damages, such as compensation for fatal accidents and the specific problems of immaterial losses. Article 10:101 of PETL defines the nature and purpose of damages, in the following way: “Damages are a money payment to compensate the victim, that is to say, to restore him, so far as money can, to the position he would have been in if the wrong complained of had not been committed. Damages also serve the aim of preventing harm”. This definition reflects the views of the drafters of the PETL on the goals of tort law. Compensation is seen as the main goal of tort law and prevention is added as a secondary goal. The explicit reference to the prevention of harm makes clear that the authors of the Principles have been influenced by legal economists.

When reading the PETL ones eye will notice three-letter word “*may*” for many times. It speaks about the flexible character of the PETL. I would like to give some examples. In most cases, this word works to authorize the court to take specific factors in mind in order to either allow or reject acclaim for compensation. For example article 2:102 paragraph 4 of PETL, defines the scope of protection of tort law in the following way: “protection of pure economic interests or contractual relationships may be more limited in scope.”

Article 5:101 paragraph 2 elaborates on the requirement of an “abnormally dangerous activities”. We can read in this paragraph that “a risk of damage *may* be significant having regard to the seriousness or the likelihood of damage”.

Sometimes “*may*” is used to indicate a contingent fact, for instance article 3:103 of PETL, which says that each activity must be regarded as having caused the damage to the extent that it “*may*” have caused. It is obvious, the PETL is very fond of “*may*”, but whether this is good thing or not is an issue of other discussion.

Harmonization of Tort Law – Advantages and Disadvantages

Harmonization of tort law has advantages and disadvantages. It is not easy to achieve harmonized legal system in Europe. To the extent that harmonization of differences in European legal systems appears to be desirable, the obvious question is how this should be done. One of the best ways of unification of law in Europe would be through a competition of legal rules. In the process of implementation of legal rules from one country to another on a market of legal culture, the best legal rule for Europe may survive. This does not unwittingly mean the glorification of any rules.

Harmonization of European tort law means the bringing together different legal traditions into one. Here raises a weighty question whether this will be favorable for the society. The skeptics are attached to one particular legal system which they see imperiled by harmonization. The fear is that a particular legal tradition will be liquidated by the majority of the systems which dominate the process of harmonization. The opponents of harmonization of tort law think that legal rules and institutions sown and grown within one legal system can not be borrowed by or “transplanted” into another jurisdiction. One of the most radical critics, Pierre Legrand writes “what can be displaced from one jurisdiction to another is, literally, a meaningless form of words”.

Harmonization can take place in many contexts and over many ranges of jurisdictional difference. Take an extreme case of two jurisdictions, X and Y, that have different apprehensions of tort law and no knowledge of the other. In this situation, changes in technology that makes it cheap and easy for X to access the precedents of Y will increase the likelihood that Y will influence the tort law of X, and that X will conform to Y's view of tort law, thereby promoting harmonization of tort law between the two jurisdictions.

It is worth to be mentioned that legal diversity hinders cross-border trade and harmonization of law will encourage enterprises to engage in transactions. On one hand, large and multinational enterprises may not be deterred by the need to adapt to local rules from entering local rules from entering foreign markets, while on the other hand small and medium-sized might be discouraged from offering their goods and services in another country with a distinct legal system the advantages and disadvantages of which they are unable ascertain at reasonable cost. Moreover, goods and services offered by foreign suppliers may be avoided by consumers, as they are not sure about the level of protection they enjoy if the transaction is to be governed by foreign law.

Regarding the necessity of harmonization, the analysis in the legal literature is usually very simplistic. Some group of lawyers advance the costs of different tort systems to justify the harmonization of tort law. It is argued that differences in legal rules increase legal uncertainty and lead to problems in the management of enterprises and in legal practice, which hinders cross-border trade. The latter argument is also very popular with European bureaucrats, who usually add that differences in tort law create inequality in competitive conditions across the member states. So, harmonization can be presented as an instrument to create a ‘level playing field’ for industry.

Economic Analysis of Harmonization of Tort Law

European private law and the trend towards harmonization have a lot of support in Europe today. For many traditional lawyers differences between the legal systems are undesirable and plead in favor of harmonization of tort law.

The economic analysis of harmonization takes a much more careful attitude. On the one hand, Law and Economics scholars stress the benefits of divergent legal rules. Competition between legal orders allows satisfying a greater number of preferences and enables learning processes. On the other

hand, Law and Economics scholars admit that competition between legal orders may fail. Another argument in favor of harmonization is that centralization may achieve scale economies or reduce transaction costs.

From an economic perspective, the most significant argument for a harmonization of tort law is that such a harmonization could lead to a reduction of administrative costs. The unification of liability rules which do indeed reflect similar values and preferences at relatively low costs should be considered as an important advantage. This is a leading thought which was developed by many academic tort lawyers. It must be also taken into consideration the fact that harmonization of tort laws should not cause the situation, when national legal systems have to give up national rules which are deeply rooted in national values and traditions. It will be fully different if the national rules and traditions are replaced by another rule and traditions, which are formulated in a technically different way, but still reflect the same values and preferences.

I can give an obvious example in favor of harmonization: citizens in downstream states suffer from lenient environmental water standards in upstream states. Negotiations between the countries involved may not lead to optimal outcomes because of opportunistic behavior. This may provide a powerful argument in favor of central rules on water pollution.

Conclusion

Even though there are still many barriers and problems concerning harmonization of tort law, the work of the European Group of Tort Law is a very important achievement for the future development of tort law. Furthermore, the goal of creating a level playing field will not be reached until firms in many countries will not improve infrastructure, wages, labor productivity and so on. Harmonization of tort law is already the issue of usual discussions and political debates. I am sure that democratic society will come to the right choice.

შ ო ტ ე რ ო ს ტ უ რ ო ს Literature Л и т е р а т у р а

1. R.V. Berg, L. Visscher, *The Principles of European Tort Law: The Right Path to Harmonization*, vol. 10, number 3
2. European Group on Tort Law, *Principles of European Tort Law. Text and commentary.* (2005)
3. J.Spier, 'General Introduction', *Principles of European Tort Law*, 2005
4. Bernard A. Koch, *The "European Group on Tort Law" and Its "Principles of European Tort Law"*, 2005
5. G. Wagner, "The Project of Harmonizing European Tort Law", *Common Market Law Review*, vol. 42, number 5, 2005
6. Jan M. Smits, *The Harmonization of Private Law in Europe: Some Insights from Evolutionary Theory*, Special Volume in Honor of Alan Watson, *Georgia Journal of International and Comparative law* 31 (2002)
7. P. Legrand, "The Impossibility of 'Legal Transplants'", 4 MJ (1997),
8. Jack Goldsmith, *Regulation of the Internet: Three Persistent Fallacies*, 73 Chi.-Kent L. R. 1119, 1998
9. G. Wagner "The Economics of Harmonization: The Case of Contract Law", 39. *Common Market Law Review*, 2002
10. M. Faure, "Economic Analysis of Tort Law and the European Civil Code", *Towards a European Civil Code*, 2004

SUMMARY

Does Europe Need a Harmonized Tort law?

Giorgi Khojevanishvili

I would like to underline, that the question: “does Europe need a harmonized Tort law” – still remains an open one. In this short paper I am talking on about the “Principles of European Tort Law”, as its main aim is to create a framework for harmonization of law of torts in Europe. Also here is discussed advantages and disadvantages, is given law and economic approaches for harmonization of tort law.

რეზიუმე

საჭიროა თუ არა ჰარმონიზებული ევროპული კანონმდებლობა სამოქალაქო სამართალდარღვევებისათვის?

გიორგი ხოჯევანიშვილი

უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე “საჭიროა თუ არა ჰარმონიზებული ევროპული კანონმდებლობა სამოქალაქო სამართალდარღვევებისათვის” ჯერ კიდევ არ არსებობს კონკრეტული პასუხი. სტატიაში განხილულია ის პრინციპები, რომლის მიზანიცაა შექმნას ერთიანი ევროპული სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა. ასევე საუბარია იმ ნაკლოვანებებსა და უპირატესობებზე, რომელიც თან ახლავს ჰარმონიზებულ ევროპულ კანონმდებლობას. ამასთან, მოცემულია საკითხის სამართლებრივი და ეკონომიკური ხედვა.

РЕЗЮМЕ

Требуется ли гармонизированное европейское законодательство для гражданского правонарушения?

Гиорги Ходжеванишвили

Надо заметить, что на вопрос нужно ли “ европейское законодательство для гражданского правонарушения.” ещё нет конкретного ответа. В статье рассмотрены те принципы, целью которых является создание европейского гражданского правового законодательства. Речь идёт о недостатках и преимуществах, которые сопутствуют гармоничному, европейскому законодательству. А так же рассмотрены правовые и экономические взгляды вопроса.

ლიზინგის ხელშეკრულება ერთ-ერთი ყველაზე ახალი და ამავდროულად რთული და მრავალმხრივი ხელშეკრულებაა, რომელიც მისი ფორმებისა და სახეების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ტერმინი ლიზინგი, წარმოდგება ინგლისური ზმნიდან „lease” და ნიშნავს გაქირავებას. გერმანულ სამართალში ამ მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენება – mitvertag kredit, ესპანურ კანონმდებლობაში – arrendamiento financiero, იტალიურ კანონმდებლობაში – credito arrendamiento, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში ლიზინგი აღინიშნება ისეთი დასახელებით, როგორცაა ფინანსური იჯარა, რაც თავისთავად გამომდინარეობს იმ მნიშვნელოვანი მსგავსებებიდან, რომლებიც ახასიათებთ ლიზინგსა და იჯარას.

გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ ყველა ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც თავისი წარმოშობითა და სამართლებრივი ბუნებით დაკავშირებულია ლიზინგთან, ისტორიულად შედარებით ახალი სამართლებრივი მოვლენაა.

მართლაც, ლიზინგის იდეა ახალი ნამდვილად არ არის, თუმცა თავად ტერმინი – ლიზინგი (lease) ნამდვილად ახალია. ლიზინგის იდეის არსებითი შტრიხების ჩამოყალიბება კი ჯერ კიდევ არისტოტელეს ეპოქაში უნდა ვეძიოთ – ე.ი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 384/383-322 წლებამდე. სწორედ არისტოტელეს ეკუთვნის ის უმნიშვნელოვანესი ფრაზა, რომელიც დამკვიდრდა არა მარტო საზღვარგარეთის კანონმდებლობაში, არამედ, ახლა უკვე ცალკეული ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაშიც: „სიმდიდრე მდგომარეობს ამ სიმდიდრის გამოყენებაში და არა მხოლოდ საკუთრებაში.” სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოგების მიღებისათვის სრულებით არ არის აუცილებელი იყოს რაიმე ქონების მესაკუთრე, მთავარია ამ ქონებით სწორად სარგებლობა ვიცოდეთ და ამის შედეგად მივიღოთ მოგება.

ეკონომისტების აზრით, საიჯარო (სალიზინგო) გარიგებები საკმაოდ ცნობილი იყო არისტოტელეს ეპოქაშიც. როგორც პ. ბალტუსი და ბ. მაიჯერი წერენ თავიანთ წიგნში „ევროპული ლიზინგის სკოლა”, ჯერ კიდევ შუმერთა სახელმწიფოს კვლევისას ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ფარგლებში აღმოჩენილია ე.წ. დაფები, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000 წლით თარიღდება, ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ ამ შორეულ ხანაში გავრცელებული იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მიწების, სარწყავი სისტემების იჯარით გაცემა. ამ დაფების დიდი ნაწილი მხოლოდ 1984 წელს იქნა აღმოჩენილი. ისინი მოგვითხრობენ იმ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც დამყარებული იყო საეკლესიო პირებსა და ადგილობრივ ფერმერებს შორის. თუმცა ეს უძველესი დოკუმენტური მასალა სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ სხვა ისტორიულ ეპოქებშიც იყო გავრცელებული საიჯარო, სალიზინგო ურთიერთობები, რომელთა შესახებ თანამედროვე მკვლევრებს დასაბუთებული ინფორმაცია არ მოეპოვებათ.

ინგლისელმა ისტორიკოსმა ტ. კარლმა, ლიზინგთან დაკავშირებული რამოდენიმე კანონი აღმოაჩინა ჩვ. წ. აღ-მდე 1775-1750 წლებში ჰამბურაბის მიერ მიღებულ კანონებში. ეს კანონები აბსოლუტურად დეტალურად არეგულირებენ იჯარის ყველა სახეს, მის პირობებს, ვადებსა და საზღაურის ფარგლებს.

თანამედროვე მსოფლიოში ლიზინგური მომსახურება თავმოყრილია სამკუთხედში: ამერიკის შეერთებული შტატები – დასავლეთ ევროპა – იაპონია.

ევროპაში ლიზინგის გამცემებად გამოდიან სპეციალიზირებული ლიზინგური კომპანიები, რომელთა დაახლოებით 75-80 პროცენტი კონტროლდება ბანკების მიერ

ან ითვლება მათ შვილობილ საწარმოებად. იაპონიისათვის დამახასიათებელია ლიზინგური მომსახურების მასობრივი გაფართოება, რომელიც შეიცავს ლიზინგურ ოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ლიზინგის პროცესი გამოხატავს ქონებრივი ურთიერთობების ერთიან პროცესს, დაკავშირებულს ლიზინგური ოპერაციების მონაწილეთა შორის ქონების მოძრაობასთან. ამიტომაც, ლიზინგი, როგორც ეკონომიკურ-სამართლებრივი კატეგორია, წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც მიმართულია დროებით თავისუფალი ფინანსური სახსრების ინვესტირებისაკენ.

მსოფლიო პრაქტიკაში ტერმინი ლიზინგი გამოიყენება როგორც ხანგრძლივი მოხმარების, ძვირადღირებული საქონლის იჯარაზე დაფუძნებული გარიგება. ლიზინგური კომპანია ფაქტობრივად აფინანსებს, აკრედიტებს მოიჯარეს. ამიტომაც, ლიზინგი ხშირად მოიხსენიება, როგორც „კრედიტ-იჯარა“, განსხვავებით ყიდვა-გაყიდვისაგან, რომლის დროსაც საკუთრების უფლება პირდაპირ გადადის გამყიდველიდან მყიდველზე, ლიზინგის შემთხვევაში კი საკუთრების უფლება ლიზინგის საგანზე უნარჩუნდება მეიჯარეს, ხოლო ლიზინგის მიმღები მოიპოვებს მას მხოლოდ დროებით სარგებლობაში. ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ლიზინგის მიმღებს შეუძლია შეისყიდოს იჯარის ობიექტი შეთანხმებული ფასით, გააგრძელოს ლიზინგის ხელშეკრულება ან დაიბრუნოს ლიზინგის ობიექტი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ლიზინგს მართლაც აქვს გარკვეული მსგავსება კრედიტთან, რომელიც კონკრეტული მოწყობილობის შესაძენად არის გაცემული. კრედიტის დროს, ძირითად ფონდებში მსესხებელს ვალების დასაფარად შეაქვს გადასახადები დადგენილ ვადებში. ამასთანავე, ბანკი კრედიტის დაბრუნების უზრუნველსაყოფად ინარჩუნებს საკუთრების უფლებას დაკრედიტებულ ობიექტზე სესხის სრულ დაბრუნებამდე. ლიზინგის შემთხვევაში მოიჯარე ხდება ლიზინგით აღებული ობიექტის მესაკუთრე მხოლოდ ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლამდე და სალიზინგო ქონების სრული ღირებულების გადახდამდე. თუმცა, აღნიშნული მსგავსება დამახასიათებელია მხოლოდ ფინანსური ლიზინგისათვის, ლიზინგის მეორე სახე – ოპერატიული ლიზინგი მეტწილად კლასიკურ იჯარასთან ძალიან დიდი მსგავსებებით ხასიათდება.

თავისი იურიდიული ბუნებით ლიზინგური გარიგება ხასიათდება საინვესტიციო ფასეულობების გრძელვადიანი იჯარის თავისებურ სახედ. ლიზინგური ოპერაციების ზუსტ განსაზღვრას აქვს ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან კანონით დადგენილი მისი ფორმის დაუცველობის შემთხვევაში, ის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ლიზინგურ გარიგებად, რაც, ბუნებრივია, ლიზინგური ოპერაციის მონაწილეთათვის გამოიწვევს არასასურველ სამართლებრივ და ფინანსურ შედეგებს.

ლიზინგის, როგორც სამართლებრივი მოვლენის უმთავრესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხასიათდება მომსახურების საოცარი მრავალფეროვნებით, რომელიც შეიძლება გაეწიოს ლიზინგის მიმღებს.

სალიზინგო მომსახურება იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. ტექნიკური მომსახურება; მომსახურების ეს სახე დაკავშირებულია ლიზინგის ობიექტის ტრანსპორტირების ორგანიზებასთან, კლიენტის მიერ მისი გამოყენების ადგილზე, ლიზინგით გაცემული მოწყობილობის მონტაჟთან და მოწესრიგებასთან, მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებასთან და მიმდინარე რემონტთან;

2. საკონსულტაციო მომსახურება; მასში იგულისხმება გადასახადებით დაბეგვრის, ხელშეკრულების გაფორმების და ა.შ. გაწეული მომსახურება.

ლიზინგის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული საიმედო გარანტიებზე, ისინი ამცირებენ ფინანსურ რისკებს, რომლებიც შესაძლებელია სალიზინგო ოპერაციებში მონაწილეთა თანხვედრი იყოს. ლიზინგის გამცემთათვის მნიშვნელოვანია სალიზინგო გადასახადების დროული დაბრუნების გარანტიების მიღება, სადაზღვევო დაცვის მოწყობა ვალდებულებათა შეუსრულებლობით

გამოწვეული დანაკარგებისაგან, რაც შესაძლებელია მოხდეს ლიზინგის მიმღებთა დროებითი ან სრული გადახდისუნარიანობის დადგომის შემთხვევაში.

მსოფლიოში ამჟამად რამდენიმე ათასი ლიზინგური კომპანია მოქმედებს. მათი მოღვაწეობა განსხვავდება საქმიანობის მიმართულებითა და სალიზინგო ოპერაციების მოცულობით, პოტენციალით, რეგიონალური განლაგებითა და სხვა ფაქტორებით.

მაგალითად, კომპანია „Finova Group“-ს, რომელსაც მსოფლიოში 46-ე შედეგი აქვს პორტფელის მოცულობით (1მლრდ663მლნ აშშ დოლარი), ვერ მოხვდა სიაში. ანალოგიური სიტუაცია აქვს „ECS“ კომპანიას, რომელიც 59-ე პოზიციას იკავებს პორტფელის მოცულობით 1,200 მლრდ დოლარით და კომპანიას „ABB Credit“-63-ე ადგილი, პორტფელის მოცულობით 1,082 მლრდ აშშ დოლარი.

კომპანია „Japan Leasing Corporation“-ს წლიური სალიზინგო ოპერაციების მოცულობით (3 მლრდ 269 მლნ აშშ დოლარი) მსოფლიოში მერვე პოზიცია უკავია; კომპანია „D'Accord Financial“-ს 2,500 მლრდ დოლარით – მე-17 ადგილი, კომპანია „Newcourt Credit Group“-ს 2,468 მლრდ დოლარით – მე-18 ადგილი და ა.შ.

ქართული სამოქალაქო სამართლისათვის ლიზინგი სრულიად ახალი სამართლებრივი მოვლენაა. სამოქალაქო კოდექსიდანაც აშკარაა, რომ ლიზინგი ვალდებულებით-სამართლებრივი ინსტიტუტია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმარტებულია, რომ ლიზინგი ისეთი ტიპის ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც ლიზინგის გამცემი ლიზინგის მიმღებს გადასცემს სარგებლობაში განსაზღვრულ ქონებას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში. ამის სანაცვლოდ კი ლიზინგის მიმღები, ბუნებრივია, ვალდებულია, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაური დადგენილი პერიოდულობით (576-ე მუხლი).

ლიზინგის საგანთან დაკავშირებით 576-ე მუხლის მე-2 პუნქტი აკონკრეტებს, რომ ლიზინგის გამცემი ვალდებულია, დაამზადოს ან შეიძინოს ლიზინგის საგანი. მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ლიზინგის გამცემს აძლევს უფლებას, აირჩიოს იჯარით გასაცემი ლიზინგის საგნის მოპოვების მისთვის უფრო ხელსაყრელი ერთ-ერთი გზა:

- ა) თავად დაამზადოს ლიზინგის საგანი, ან
- ბ) შეიძინოს ლიზინგის საგანი.

საქართველოს კანონმდებლობა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ლიზინგის მიმღებს მიენიჭოს უფლებამოსილება, ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირავოს იგი, თუ ხელშეკრულება სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. კანონი იცავს მხარეთა უფლებებს და აკონკრეტებს, რომ ლიზინგის საგნის საბოლოო ღირებულების დადგენისას ყველა შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საგნის ამორტიზაციის ფაქტი.

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ცენტრალური ადგილი უკავია ხელშეკრულების ფორმას. ხშირად სწორედ ამ ფორმის დაუცველობა ხდება ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. ლიზინგის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლის თანახმად „ლიზინგის ხელშეკრულება იდება წერილობით“. ხსენებული დებულება საკლებით სამართლიანად მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც ლიზინგი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე ურთულესი ურთიერთობაა, რომლის ზეპირი ფორმით დადება პრაქტიკულად გამორიცხებულია და მასში მონაწილე მხარეთა უფლებებისათვის საზიანოა. კანონი ასევე ადგენს იმ სავალდებულო მითითებებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ლიზინგის ხელშეკრულება, ეს დებულებებია:

- ა) ლიზინგის მთლიანი ფასი;
- ბ) სალიზინგო საზღაურის თანხა და მისი გადახდის ვადები;

გ) საბოლოო გადახდის თანხა, ხოლო ხელშეკრულების ვადამდე შესრულებისას – მისი გამოთვლის წესი.

სამოქალაქო კოდექსით მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული ლიზინგის გამცემისა და მიმღების პასუხისმგებლობა. ლიზინგის გამცემი პასუხს აგებს ლიზინგის მიმღების წინაშე ქონების მიწოდების ვადის გადაცილების ან მიუწოდებლობისათვის, აგრეთვე, ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის (578-ე მუხლი).

თავის მხრივ, ლიზინგის მიმღების ბრალით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას ლიზინგის გამცემს არ შეუძლია წაუყენოს მას ისეთი მოთხოვნები, რომლებიც სცილდება შესრულებასთან დაკავშირებულ მის ინტერესებს. მოთხოვნის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება სალიზინგო ქონების დარჩენილი ღირებულება, სალიზინგო საზღაურის დარჩენილი პროცენტები და სხვა დაზოვილი ხარჯები (579-ე მუხლი).

იმდენად, რამდენადაც ლიზინგი არსებითად იჯარაზე დაფუძნებული გარიგებაა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 580-ე მუხლი სავსებით სამართლიანად ადგენს, რომ ლიზინგის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ქირავნობის ხელშეკრულების ის წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ლიზინგის ხელშეკრულების მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს.

ლიზინგის სამართლებრივ რეგულირებას ეთმობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლი, რომლის თანახმადაც იმ შემთხვევაში, თუ პირი ლიზინგით (ფინანსური იჯარით) გასცემს ამორტიზაციას დაქვემდებარებულ ძირითად საშუალებებს, მაშინ საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის ოპერაცია ითვლება საქონლის მიწოდებად, ხოლო საიჯარო გადასახდელი შედგება ბასს-ის მიხედვით დიკონტირების გზით გამოყოფილი ძირითადი თანხისა და პროცენტებისაგან.

საგადასახადო კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს, რომ ლიზინგის (ფინანსური იჯარის) ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონება ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნდა აისახოს იჯარის მიმღების ბალანსზე, რაც მას საშუალებას მისცემს, განახორციელოს ამ ქონებასთან დაკავშირებული საამორტიზაციო და ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯების გამოქვითვები.

ამკარაა, რომ ლიზინგი არ არის მხოლოდ სამართლებრივი მოვლენა, სალიზინგო გარიგებები იმდენად მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ სისტემასთან, რომ ლიზინგური ურთიერთობების მხოლოდ სამართლებრივ ჭრილში განხილვა ძალიან რთულია.

ლიზინგს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში, მეტიც, იგი ფაქტობრივად არის ერთგვარი სტიმული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ, ლიზინგური ურთიერთობების დამკვიდრება და გავრცელება განსაკუთრებით საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს შემთხვევაში.

როგორც დავინახეთ, ლიზინგი დინამიურად განვითარებადი ურთიერთობაა და ამის დასტურია ისიც, რომ ამ ურთიერთობამ ძალზე სწრაფად მოკიდა ფეხი თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ-სამართლებრივ სისტემაში, ჩამოყალიბდა უამრავი სალიზინგო ფირმა, რომელიც უშუალოდ მუშაობს სალიზინგო ოპერაციების წარმოებაზე.

რეზიუმე

ლიზინგი, როგორც ეკონომიკურ-სამართლებრივი მოვლენა

გიორგი მადუაშვილი

ნაშრომში განხილულია ლიზინგი, როგორც ეკონომიკურ-სამართლებრივი მოვლენა, საუბარია მის თავისებურებებსა და მრავალფეროვნებაზე, ასევე მის რეგულირებაზე ქართული სამოქალაქო სამართლით.

SUMMARY

Leasing, as an economical-legal phenomena

Giorgi Maduashvili

In this publication is examined leasing, as economic-legal phenomena, there is talked about its peculiarities and variety, also its regulation with Georgian civil law.

РЕЗЮМЕ

Лизинг, как экономически-правовое явление

Гиорги Мадуашвили

В данном труде рассматривается лизинг, как экономически-правовое явление, беседа в нём об особенностях и многообразии лизинга, а также о его урегулировании грузинским гражданским правом.

სამკვიდრო, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი
(სამართლებელს სამოქალაქო კოდექსისა და მონეტანას კოდექსის მიხედვით)

**ირინე გველესიანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი**

თანამედროვე ქართულ სამართალში მემკვიდრეობის სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტად „სამკვიდრო“ არის აღიარებული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად:

1. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.
2. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება.

აქვე, განმარტავთ ტერმინს „ქონება“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად: „ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“.

როგორც მოცემული მუხლიდან ირკვევა, ქართული სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღიარებს როგორც ნივთებს, ასევე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც. რომის სამართლიდან პირველი სხეულებრივი ნივთების (res corporales) სახელწოდებითაა ცნობილი, მეორე კი – უსხეულო ნივთების (in-corporales) სახელით. ყველა შემთხვევაში, როგორც არ უნდა იყოს ნივთი, იგი ქონებად იქცევა იმ უფლება-მოვალეობათა წყალობით, რომელიც ამ ნივთთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ ქონება უფლება-მოვალეობათა ერთობლიობაცაა.

მაშასადამე, ქონების ყველაზე გავრცელებული სახე არის ნივთი. ფილოსოფიური გაგებით იგი გულისხმობს ნებისმიერ საგანს, რასაც შევიგრძნობთ. სამართლებრივი გაგებით კი ნივთის ცნება უფრო ფართოა. სამოქალაქო სამართლის მიხედვით, „ნივთი არის ბუნების ან ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური სამყაროს ისეთი ფასეულობა, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას და რომლის გამოყენებაც მას შეუძლია“.

ნივთი შეიძლება იყოს უძრავი და მოძრავი. **უძრავი ნივთი** არის ისეთი ქონება, რომელიც არ შეიძლება გადაადგილდეს არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად: „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“.

უძრავისაგან უნდა განვასხვავოთ **მოძრავი ნივთები**. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ უძრავი ნივთების განმარტებას იძლევა (მუხლი 149) და ამ დუმილით გვამცნობს, რომ მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც არ ითვლება უძრავად. მაშასადამე, მოძრავი ნივთი ისეთი საგანია, რომლის გადაადგილება შეიძლება არსებითი დაზიანებისა და ღირებულების შემცირების გარეშე.

ნივთის ცნების განხილვის შემდეგ, განმარტავთ **არამატერიალური ქონებრივი სიკეთის** ცნებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის

თანახმად:

„არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, ან გამოიზნულოს საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს „უსხეულო ნივთი“ ეწოდება. უსხეულო ნივთები სხეულებრივი ნივთების მსგავსად სამართლებრივ ფასეულობად იქცევა იმის წყალობით, რომ მათ უკან გარკვეული პირის უფლებებია გამოკვეთილი. სხეულებრივი ნივთის უკან არსებული უფლებები სწორედ რომ ამ ნივთზე არსებული უფლებებია და ამ აზრით, ფასეულობას წარმოადგენს საგნის თვით სხეული, იგივე ნივთი. სხვანაირად დგას საკითხი უსხეულო ნივთების ვითარებაში. ამ შემთხვევაში თვით უფლება და მოთხოვნაა ნივთი, ხოლო ის მატერიალიზებული საგანი, რაშიც ისინია გამოხატული არ წარმოადგენს მათ სხეულს. მიუხედავად ამისა, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევე შესაძლებელია, როგორც სხეულებრივი ნივთებისა.

განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით, არის **სამკვიდრო**. იგი შედგება **სამკვიდრო აქტივისა და პასივისაგან**. აქტივს წარმოადგენს მამკვიდრებლის **ქონებრივი უფლებები - უფლებები ნივთებსა (მატერიალური სიკეთეები) და არამატერიალურ სიკეთეებზე**. მატერიალური სიკეთე შეიძლება იყოს **უძრავი ან მოძრავი**. რაც შეეხება **სამკვიდრო პასივს**, მასში შედის მამკვიდრებლის **ქონებრივი მოვალეობები**. **ონებრივ მოვალეობებში** იგულისხმება მემკვიდრეთა პასუხისმგებლობა მამკვიდრებლის ვალებისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლის თანახმად: „მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელი არიან სავალდებულო წილის მიძღვნი მემკვიდრეებიც“.

მაშასადამე, თითოეული მემკვიდრე პასუხისმგებელია მამკვიდრებლის ვალებისათვის მიღებული წილის პროპორციულად. აღსანიშნავია ისიც, რომ საუბარია როგორც კანონისმიერ, ასევე ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე. თუმცა, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დროს, მონდერძეს შეუძლია მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდა დააკისროს ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს. ასეთ შემთხვევაში, დანარჩენი მემკვიდრეები შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ვალის გადახდის მოვალეობისაგან. მაგრამ, თუ მამკვიდრებელმა ვალის გადახდა ერთ-ერთ მემკვიდრეს დაავალა და აღმოჩნდა, რომ ამ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო საკმარისი არ არის ვალების გასასტუმრებლად, მაშინ, ვალების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა სხვა მემკვიდრეებს დაეკისრებათ.

დაბოლოს, ქართულ სამართალში გვხვდება ტერმინი „**უმკვიდრო ქონება**“, რომელიც აღნიშნავს მემკვიდრის გარეშე დარჩენილ სამკვიდროს. 1343-ე მუხლის თანახმად: „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის ხაზინაზე“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, მონტანას კანონმდებლობაც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტად ასახელებს სამკვიდროს (estate). თუმცა, აშშ-ს სამართალში განსხვავებული ტერმინებით აღინიშნება ანდერძითა და უანდერძოდ გარდაცვლილი პირის სამკვიდრო. თუ მამკვიდრებელი ანდერძის დაუტოვებლად გარდაიცვალა, მაშინ მის სამკვიდროს ეწოდება "intestate estate", ხოლო თუ მან ანდარძი დატოვა, მაშინ – "testate estate". სამკვიდროს იმ ნაწილს,

რომელიც "გაწმენდილია" ვალებისა და საანდერძო დანაკისრებისაგან, ეწოდება "residue".

ამასთანავე, estate შეიცავს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ ელემენტებს. სამკვიდრო აქტივები (assets) შედგება მატერიალური ქონებისა (tangible property) და არამატერიალური ქონებისაგან (intangible property).

Tangible property წარმოდგენილია უძრავი (real or immovable property) და მოძრავი (personal or movable property) ქონებით.

მონტანას კოდექსის 70-1-106-ე მუხლის თანახმად, ტერმინით "real property" აღინიშნება: „(1) მიწა (land); (2) ის, რაც მიწაზე არის მიმაგრებული, სახლის ჩათვლით (that which is affixed to land, including a manufactured home); (3) ის, რაც მიწის თანმხლებია ან მიეკუთვნება მიწას (that which is incidental or appurtenant to land); (4) ის, რაც უძრავია კანონის მიხედვით (that which is immovable by law)“.

უძრავი ქონებისაგან უნდა განვასხვაოთ მოძრავი ქონება. მონტანას კოდექსის 1-1-205-ე მუხლის თანახმად, ტერმინი "personal property" გულისხმობს: ფულს (money), საქონელს (goods), ბარგს (chattels), მოქმედებაში მყოფ საგნებსა (things in action) და ვალის დამადასტურებელ საბუთებს. ამასთანავე, „ნებისმიერი სახის ქონება, რომელიც არ არის უძრავი, არის მოძრავი“ (მონტანას კოდექსის 70-1-108-ე მუხლი).

დაქორწინებული პიროვნების გარდაცვალების შემთხვევაში, მის სამკვიდროში შედის ე. წ. "community property" ("საერთო ქონება"). ამ ქონების ნახევარი რჩება მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, ხოლო მეორე ნახევარი კი: „... არის გარდაცვლილის ქონება და ექვემდებარება ანდერძით გადაცემას მამკვიდრებლის მიერ ან განაწილებას "Uniform Probate Code" -ის მიხედვით" (მუხლი 72-9-102).

ანალოგიური კანონი გვხვდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც. 1339-ე მუხლის თანახმად: „ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის“.

თანასაკუთრება ანუ საერთო საკუთრება მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებას წარმოადგენს. თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, მეუღლეთა საერთო ქონების ნახევარი ცოცხლად დარჩენილი მეუღლის წილს შეადგენს, ხოლო მეორე ნახევარი კი ნაწილდება მემკვიდრეებს შორის. ცხადია, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებთან ერთად აქვს მემკვიდრეობის უფლება საერთო საკუთრების მეორე ნახევარზეც.

მონტანას კოდექსის მიხედვით, სამკვიდრო პასივს შეადგენს მამკვიდრებლის ქონებრივი მოვალეობები ანუ ვალები (claims). ვალების გადახდა ხდება ქონების განმკარგველის მიერ სამკვიდროს მართვის პერიოდში. თუ ქონების განკარგვის დროს ყველა კრედიტორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ: (1) სამკვიდრო აქტივების განაწილების შემდეგ, სასამართლოში შეიძლება აღიძრას საქმე გადაუხდელ ვალებთან დაკავშირებით ერთი ან ერთზე მეტი მემკვიდრის წინააღმდეგ ... (2) რაც შეეხებათ მემკვიდრეებს, თითოეულმა უნდა გადაიხადოს თანხა ვალების დასაკმაყოფილებლად, ისე, თითქოს, ვალი გადახდილ იქნა სამკვიდროს მართვის პროცესში.

დაბოლოს, მონტანას კანონმდებლობაში გვხვდება ცნება „უმკვიდრო ქონება“, რომელიც აღინიშნება ტერმინით "escheated property". 72-14-102- ე მუხლის თანახმად: „როდესაც უფლება საკუთრებაზე – უძრავზე, მოძრავზე ან შერეულზე, წყდება რაიმე მიზეზის გამო, მემკვიდრეებისა თუ უახლოესი ნათესავების არ არსებობის ჩათვლით, მაშინ ეს უფლება გადაეცემა მონტანას შტატს მესაკუთრის გარდაცვალებისთანავე ... “. მაშასადამე, მემკვიდრეების არ არსებობის შემთხვევაში „უმკვიდრო ქონება“ რჩება სახელმწიფოს.

შეიძლება ითქვას, რომ ცნება „სამკვიდრო“ თითქმის იდენტურად არის წარმოდგენილი საქართველოსა და მონტანას კანონმდებლობებში. განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართულ სამართალში არ არსებობს ცნება "residue". ამასთანავე, არსად გვხვდება ცნებების "intestate estate"-ისა და "testate estate"-ის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ცნებების ქართული ლექსიკური ერთეულებით სახელდება. შესაბამისად, შეიქმნება ახალი ქართული ტერმინოლოგიური ერთეულები.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტერმინებია: „**კანონისმიერი სამკვიდრო**“ (intestate estate) და „**ანდერძისმიერი სამკვიდრო**“ (testate estate) (გხელმძღვანელობთ რა იმ ფაქტით, რომ „intestate estate“ კანონით გადაეცემათ მემკვიდრეებს, ხოლო „testate estate“ კი ანდერძით გადადის მემკვიდრეების მფლობელობაში).

ლიტერატურა

Literature

Литература

1. კობახიძე – სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 2002.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999.
4. Montana Code Annotated, Montana, 2003

რეზიუმე

სამკვიდრო, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი
(საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მონტანას კოდექსის მიხედვით)

ირინე გველესიანი

ნაშრომში განხილულია სამკვიდრო, როგორც მემკვიდრეობის სამართლის ობიექტი ქართულსა და ამერიკულ სამართალში. საქართველოსა და აშშ-ს სამართლის ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ ცნება "სამკვიდრო" თითქმის იდენტურად არის წარმოდგენილი ორივე ქვეყნის კანონმდებლობაში. განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქართულ სამართალში არ გვხვდება "residue"-ს, "testate estate"-ისა და "intestate estate"-ის შესატყვისი ტერმინები.

SUMMARY

Estate as an object of the Law of Succession (According to The Civil Code of Georgia and Montana Code)

Irine Gvelesiani

In this article we discussed the terms denoting "estate" in Georgian and American Civil Codes. The comparative analysis revealed that the concept "estate" is expressed almost identically in laws of the both countries. The major difference is that in Georgian language there are not terms denoting "residue", "testate estate" and "intestate estate".

РЕЗЮМЕ

Наследство, как объект наследственного права (по Гражданскому Кодексу Грузии и Кодексу Монтана)

Ирина Гвелесиани

В статье рассмотрено понятие «наследство» и обозначающие его лексические единицы в Грузинском и Американском праве. Изучение памятников права показало, что понятие «наследство» представлено почти идентично в кодексах Грузии и Америки. Единственным различием является то, что в Грузинском законодательстве не существуют термины обозначающие понятия “intestate estate” и “testate estate”. Так-же, не существует понятие “residue”.

საქართველოს შრომის კოდექსის შესავალი დებულებანი

ირაკლი ყანდაშვილი,
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

საქართველოს შრომის კოდექსი და მისი ადგილი ქართულ კანონმდებლობაში

2006 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს შრომის კოდექსი, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული 1973 წლის 28 ივნისის „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“, რომელიც საბჭოთა პერიოდში იქნა მიღებული და საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომაც განაგრძობდა მოქმედებას. მოქმედი შრომის კოდექსის საფუძველზე ძალადაკარგულად გამოცხადდა ასევე მთელი რიგი სპეციალური კანონები შრომის სამართალში, როგორცაა საქართველოს კანონები „კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ“, „კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ“, „დასაქმების შესახებ“ და სხვა.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების განსხვავებული გზები იქნა არჩეული, ასე მაგალითად, იტალიის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც 1942 წელს იქნა მიღებული თავის თავში მოიცავს შრომის სამართლის მარეგულირებელ ზოგად დებულებებს, მსგავსი სიტუაციაა შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსშიც, კერძოდ, მისი ვალდებულებითი სამართლის მე-10 კარი მიზნად ისახავს შრომითი სახელშეკრულებო სამართლის მოწესრიგებას. განსხვავებული სიტუაციაა საფრანგეთსა და ესპანეთში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში, სადაც საქართველოს მსგავსად შემუშავებულია და მოქმედებს შრომის სამართლის კოდექსი, რაც არეგულირებს ქვეყანაში არსებულ შრომით სამართლებრივ ურთიერთობებს.

შრომის სამართლით მოცული შრომითი ხელშეკრულება არსებითად განსხვავდება სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებითი ხელშეკრულებებისაგან, რაც რეალურად განაპირობებს კიდევ შრომის სამართლის დამოუკიდებელ არსებობას და მისი ნორმების ცალკე კოდიფიცირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ინტეგრირება სამოქალაქო კოდექსში გარდაუვალი იქნებოდა. განსხვავების მთავარი საფუძველი გახლავთ შრომითი ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სუბ-ორდინაციის, დაქვემდებარების პრინციპი, რაც მხარეებს შორის წარმოიშობა შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

თუ სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულებების მხარეებს შორის ჰორიზონტალური ურთიერთობებია დამახასიათებელი, როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ისევე მისი გაფორმების შემდგომ, განსხვავებული სიტუაციაა შრომითი ურთიერთობის დროს, როდესაც სწორედ ვერტიკალური მდგომარეობა იქმნება დამსაქმებელსა და დასაქმებულ მხარეებს შორის.

საქართველოს შრომის კოდექსის მოქმედების სფერო

შრომის კოდექსის პირველი მუხლი არეგულირებს კოდექსის მოქმედების სფეროს და იძლევა მითითებებს თუ რა სახის ურთიერთობებს ეხება და არეგულირებს კოდექსით მოცემული სამართლის ნორმები, კერძოდ:

- 1.1. „საქართველოს შრომის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

12. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით“.

ზემოაღნიშნული მუხლის ციტირებით ნათელი ხდება რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ შრომით სამართლებრივ ან მის თანმდევ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს შრომის კოდექსი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არსებული შრომითი ურთიერთობები განსხვავებულად რეგულირდება საერთაშორისო ხელშეკრულებით, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ მსგავს ხელშეკრულებებს უპირატესი იურიდიული ძალა ენიჭებათ იერარქიაში მათ ქვემდგომ არსებულ სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით, ხდება მათი გამოყენება, მათ შორის თუნდაც კოდექსთან შედარებით, რომელიც ჩვეულებრივ კანონს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული მუხლი ახდენს მითითებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსზე და მისი გამოყენების სავალდებულობაზე საუბრობს შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისას იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა იმ სახის შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება შრომის კოდექსით. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია არა მთლიანად სამოქალაქო კოდექსის გამოყენებაზე, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის გამოყენების სავალდებულობაზე.

შრომითი ურთიერთობები და ნების გამოვლენის თავისუფლება

საქართველოს შრომის კოდექსის მეორე მუხლი იძლევა შრომითი ურთიერთობის განმარტებას და ყურადღება მახვილდება მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, კერძოდ, შრომით ურთიერთობად შრომის სამართლის მიზნებისთვის მოიაზრება შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ დაქვემდებარების პრინციპის გათვალისწინებით.

შრომითი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობად მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმება მიიჩნევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად: „ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის 52-ე მუხლი ნების გამოვლენის განმარტების ცნებას იძლევა და აცხადებს, რომ ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

მხარეებს შრომით ურთიერთობის წარმოებისას ეკისრებათ ვალდებულება რათა მათ დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

შრომის კოდექსის მეორე მუხლი ეხება ასევე ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ, შრომის კოდექსი იმეორებს საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით გარანტირებულ პოსტულატს, კერძოდ, შრომით ურთიერთობაში: „აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე

გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო“.

პირდაპირი დისკრიმინაციის ზემოაღნიშნული ფორმების გარდა ნებისმიერი ირიბი დისკრიმინაციის ფორმა ასევე აკრძალული და დაუშვებელია შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში, ისევე, როგორც პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

კანონით განსაზღვრულია ის გარემოებაც, თუ რა დროს არ იქნება დისკრიმინაციად ჩათვლილი შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, რაც ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შრომის სამართლის კოდექსი ნამდვილად შეესაბამება და გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან და ნორმებიდან, კოდექსში ასახულია ასევე ევროპის საბჭოს არა-ერთი დირექტივის მოთხოვნა მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფისა და გარანტირებულობის დაცვის სავალდებულობის შესახებ.

შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

ისევე, როგორც ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობას, შრომის სამართლებრივ ურთიერთობასაც ახასიათებს სამი კომპონენტი, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი და სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი ანუ მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

შრომითი ხელშეკრულება თავისი ფორმით შეიძლება იყოს, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმის ხელშეკრულება, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება, შესაბამისად თითოეულ მათგანს თავისი სუბიექტი გააჩნია.

ზოგადად, შრომითი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება. კანონი იძლევა დამსაქმებლის და დასაქმებულის სამართლებრივ დეფინიციებს, კერძოდ, დამსაქმებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო, ხოლო დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისათვის და მის სასარგებლოდ დასაქმებული ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

კოდექსი იძლევა კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების სუბიექტების ჩამონათვალს, ესენი არიან დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შრომის კოდექსის მიღებით საქართველომ ერთი მხრივ, თავი დააღწია საბჭოთა პერიოდის სამართლის ნორმების გამოყენებას დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის არსებობის პირობებში და მეორეს მხრივ, შეეცადა თავი მოეყარა შრომის სამართლის ნორმებისათვის ერთ მთლიანობაში კოდექსის სახით, რომლის შესავალი დებულებანი ცალსახად განსაზღვრავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოდექსის მოქმედების და გამოყენების სფერო, შრომითი ურთიერთობები და შრომითი ურთიერთობის სუბიექტები.

ლიტერატურა
Literature
Литература

1. საქართველოს შრომის კოდექსი;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 2003 წელი, №1.

რეზიუმე

საქართველოს შრომის კოდექსის შესავალი დებულებანი

ირაკლი ყანდაშვილი

ახალი შრომის კოდექსის მიღებით ქართულ სამართლებრივ სივრცეში შეიქმნა სამართლის ამ სფეროს მომწესრიგებელი ნორმების ერთიანი მარეგულირებელი კანონი; საქართველოს სამართლის სისტემამ კონტინენტური ევროპის მრავალი სახელმწიფოსგან განსხვავებით არ აირჩია ის სისტემა, როდესაც შრომის სამართლის მომწესრიგებელი ნორმები ინტეგრირებულია და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ სამოქალაქო კოდექსის, არამედ პირიქით, მათგან განსხვავებით, საქართველოს სამართლის სისტემაში შრომის სამართლის ნორმები დამოუკიდებელ კოდექსად იქნა ჩამოყალიბებული.

SUMMARY

General statements of labor code of Georgia

Irakli Kandashvili

Adoption of new Labour Code of Georgia was a step forward for creation of one unified law uniting the legal norms regulating the labour relations in the country. Georgian legal system differs from many continental European countries legal systems where the labour code is an integrated part of their civil codes, on the contrary to them Georgian legal system established purely independent Code for legal norms solving labour relations in Georgia.

РЕЗЮМЕ

Вступительные положения трудового кодекса Грузии

Иракли Кандашвили

В отличие от многих европейских государств, где регулирующие нормы трудового кодекса интегрированы и представляют неотъемлемую часть гражданского кодекса, в Грузинской правовой системе принятием нового трудового кодекса был создан единый регулирующий закон в этой сфере и нормы трудового кодекса представлены независимо.

აუცილებელი მოპერიების სამართლებრივი დახასიათება

თათია დოლიძე,
სტუ-ს სამართლის II კურსის მაგისტრანტი

„თუ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე,
ძალადობა, ყაჩაღობა ან მტრის იარაღი ემუქრება,
მაშინ დაცვის ყველა საშუალება გამართლებულია.“

(მარკუს ტულიუს ციცირონი)

მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი დანაშაულის ცნების აუცილებელი ელემენტია. აღნიშნული მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“, ამდენად, ამ ელემენტის არარსებობა გამორიცხავს დანაშაულსა და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები, ბრალის გამომრიცხველ (ე.ი. საპატიო გარემოებები) გარემოებათა გასწავლებით არის გამამართლებელი გარემოებები, რომელთა არსებობა მიუთითებს იმაზე რომ პირს არ ჩაუდენია გასაკიცხი ქმედება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა საფუძველზე პირის გათავისუფლება ნიშნავს მის გამართლებას.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს აუცილებელ მოგერიებას. თავის მხრივ, აღნიშნული გარემოება ერთ-ერთი ყველაზე ძველი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტია და მას ჯერ კიდევ ანტიკური სამყაროს იურიტები აღიარებდნენ. საქმე ისაა, რომ ყველა დროსა და ეპოქაში იყო ისეთი ფაქტები, როდესაც ერთი ადამიანი მეორე ადამიანს თავს ესხმოდა, რაც ბუნებრივად ბადებდა თავდაცვის ე.ი. მოგერიების აუცილებლობას.

სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიება არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, რომელიც გულისხმობს მართლწინააღმდეგო ხელყოფისას, ხელმყოფის დაზიანებას, თვით დაზიანებლის ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად. აქვე აღსანიშნავია, რომ აუცილებელი მოგერიების უფლების არსებობა აბსოლუტურად დამოუკიდებელია იმისგან, აქვს თუ არა პირს სხვა გზით სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის საშუალება. მაგალითად, მართლწინააღმდეგო ხელყოფისას პირს შეუძლია დააზიანოს ხელმყოფი მაშინაც კი, როდესაც მას შეუძლია საშველად მოუხმოს სხვას, გაიქცეს და ა.შ.

აუცილებელი მოგერიება შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად და ამ მხრივ არც ქონება არის გამონაკლისი. თუმცა, ქონებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს. კერძოდ, ქონების დასაცავად აუცილებელი მოგერიება დასაშვებია შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

- ა) აუცილებელი მოგერიება მოხდა უშუალოდ ქონების ხელმყოფის ხელში გადასვლისთანავე;
- ბ) ამ ქონების დაუყოვნებლივ დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქონებასთან დაკავშირებული ამგვარი შეზღუდვა ფაქტობრივად 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევორპული კონვენციის გამოძახილია. ხსენებული კონვენცია იცავს ადამიანის სიცოცხლის უფლებას.

კონვენცია კრძალავს ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ ქონების გადარჩენისათვის ჩადენილი გამიზნულ განზრახ მკვლელობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია წარმოვადგინოთ აუცილებელი მოგერიების ძირითადი ნიშნები:

ა) აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობის საფუძველია პირის მიმართ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. აუცილებელი მოგერიების ობიექტური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ამ უფლების წარმოშობის ერთადერთი საფუძველია ობიექტურად არსებული მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა.

ბ) აუცილებელი მოგერიების ადრესატია მხოლოდ ხელმყოფი; მაგალითად, პირს სასამართლომ უკანანოდ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ ამ პირმა მოკლა ციხის გუშაგი და გაიქცა. ამ შემთხვევაში სახეზე არ გვექნება აუცილებელი მოგერიება რადგან პირმა ზიანი მიაყენა არა ხელმყოფს, არამედ სურლიად სხვა პირს – ანუ გუშაგს, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფასთან. ამდენად, პირი დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის.

გ) აუცილებელი მოგერიების მიზანია სამართლებრივი სიკეთის დაცვა. აუცილებელი მოგერიების სუბიექტური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ პირს გულწრფელად უნდა ამოძრავებდეს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი.

მაგალითად, გულუას მოკვლის განზრახვით მიუახლოვდა კოდუა. გულუამ არაფერი იცოდა კოდუას განზრახვის შესახებ, მაგრამ ხულიგნური ქვენაგრძნობით მოკლა იგი. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ობიექტურად აუცილებელი მოგერიების ნიშნები გარკვეულწილად არსებობს, აუცილებელი მოგერიება სახეზე არ გვექნება, რადგან გულუას არ ამოძრავებდა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აუცილებელი მოგერიების პირობების ხაზგასმა. აუცილებელი მოგერიების პირობები არის ის გარემოებები, რომელთა არსებობაზეც არის დამოკიდებული აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობა. აუცილებელი მოგერიების პირობებია:

1. ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ხელყოფა უნდა ეწინააღმდეგებოდეს არა მარტო კანონს, არამედ კულტურის ნორმებსაც;

2. ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი; აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მხოლოდ დროის იმ მონაკვეთში, როდესაც არსებობს მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. ამ ხელყოფის დასრულებსითანავე წყდება აუცილებელი მოგერიების უფლებაც; მაგალითად, დიასამიძეს თავს დაესხა გოგუაძე. დიასამიძემ მოიგერია გოგუაძე, და ჩააგდო იგი უგონო მდგომარეობაში, რის შემდეგაც კეტის ცემით მოკლა. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არა აუცილებელი მოგერიება, არამედ განზრახ მკვლელობა შურისძიების მოტივით, რამეთუ დიასამიძემ უგონო მდგომარეობაში მყოფი გოგუაძე მოკლა კეტის ცემით მას შემდეგ, რაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა აღარ არსებობდა.

3. ხელყოფა უნდა იყოს რეალური; აღნიშნული პირობა იმას ნიშნავს, რომ ხელყოფა უნდა არსებობდეს ობიექტურად და არა მხოლოდ პირის წარმოსახვაში, როგორც ეს მოჩვენებითი მოგერიების შემთხვევაში გვხვდება ხოლმე; მაგალითად, დამით სახლში მიმავალ მაღლაკელიძეს წინ დახვდა მისი გადაცმული მეგობარი სათამაშო იარაღით ხელში. მეგობარს განზრახული ჰქონდა ამ გზით გახუმრებოდა მაღლაკელიძეს. მან მაღლაკელიძეს შუბლზე იარაღი მიაბჯინა და ფული მოსთხოვა. მაღლაკელიძეს თავდასხმა რეალური ეგონა, რის გამოც მან თითქოსდა თავდაცვის მიზნით, მეგობარს მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ამ შემთხვევაში სახეზე არ გვექნება აუცილებელი მოგერიება, რამეთუ თავდასხმა არ იყო რეალური და მეგობარი ფაქტობრივად ეხუმრებოდა მაღლაკელიძეს. ხოლო რაც შეეხება მაღლაკელიძის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, იგი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან თუ დამტკიცდება, რომ მის მიერ

დაშვებული შეცდომა მისატყვებელი იყო, ე.ი. თუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ თავდასხმა სერიოზულ ხასიათს არ ატარებდა ე.ი. მაღლაკელიძის ქმედება იქნება არაბრალეული.

4. ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა უნდა იყოს სოციალურად მნიშვნელოვანი; მაგალითად, მურღულია, რომელსაც პაემანი ჰქონდა შეიპარა ინასარიძის ბაღში, მისი ვარდების მოსაკრეფად. რამდენიმე ყვავილის მოკრეფის შემდეგ, მურღულიამ ის იყო წასვლა დააპირა, რომ მას ბაღის მეპატრონე ინასარიძემ წაასწრო და თავისი კუთვნილი ტაბელური იარაღიდან გასროლით მოკლა მურღულია. ამ შემთხვევაში ინასარიძე დაისჯება განზრახ მკვლელობისათვის, ვინაიდან, შესაძლოა ფორმალურად მის მიერ განხორციელებული ქმედება შეიცავს აუცილებელი მოგერიების ნიშნებს, მაგრამ მოგერიებას ადგილი არა აქვს, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა არ იყო სოციალურად მნიშვნელოვანი და ეს ხელყოფა გამოიხატებოდა რამდენიმე ყვავილის მოკრეფაში.

მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე პირობის არსებობაა საჭირო იმისათვის, რომ პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან აუცილებელი მოგერიების საფუძველზე. ამ პირობათაგან ერთ-ერთი ნებისმიერი პირობის არარსებობის შემთხვევაში ავტომატურად და პირდაპირ გამოირიცხება აუცილებელი მოგერიება.

აღსანიშნავია, რომ ქართველი კანონმდებელი უშვებს აუცილებელი მოგერიების გადაცილების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის კოდექსი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როდესაც აშკარა შეუსაბამობა გვაქვს სახეზე პირის მიერ განხორციელებულ თავდაცვასა და თავდასხმის გარემოებებთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისათვის. ამ ტიპის მკვლელობა წარმოადგენს შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობას, და ისჯება მხოლოდ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დადგენილი მარტივი განზრახ მკვლელობისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7 დან–15 წლამდე ვადით. კანონდებლის ამგვარ გადაწყვეტილებას სავსებით ვეთანხმებით, გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელი მოგერიება რეალურად ექსტრემალური ვითარებაა და ამ დროს ადამიანმა რომელიც სამართლით დაცულ კონკრეტულ სიკეთეს იცავს შიშის, დაბნეულობის, სისწრაფის თუ სხვა გარემოებების გამო თავისდაუნებურად გარკვეული შეცდომები შეიძლება დაუშვას.

იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი დაასკვნის, რომ პირის მიერ ჩადენილია ქმედება აუცილებელი მოგერიების მგდომარეობაში მან არ უნდა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან თუ დევნა დაწყებულია, უნდა შეწყვიტოს ეს დევნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ე.ი. იმ მოტივით რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო. თუ ეს გარემოება გამოვლინდა სასამართლო განხილვის სტადიაზე სასამართლო ამთავრებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. აუცილებელი მოგერიება ასევე წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უპირობო უარყოფის საფუძველს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცებული ამ დებულებებიდან კიდევ ერთხელ ვლინდება ის ფაქტი, რომ აუცილებელი მოგერიება არის გამამართლებელი გარემოება, რომელიც პირდაპირ გამოირიცხავს მისი ჩამდენი პირის, როგორც სისხლისსამართლებრივ ისე სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დასასრულ, გვინდა ავღნიშნოთ, რომ აუცილებელ მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, არა მარტო წმინდა მეცნიერულ-თეორიული საკითხია, არამედ, იგი გახლავთ ძალზე

პრაქტიკული და აქტუალური საკითხი, რადგან აუცილებელი მოგერიება თითოეული ფიზიკური პირის უფლებაა და მისი მიზანია სამართლებრივი სიკეთის დაცვა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ სასურველია ადამიანები მაქსიმალურად მაღალ დონეზე იყვნენ ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში აქვთ აუცილებელი მოგერიების უფლება და რა შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებად.

ლიტერატურა Literature Литература

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2007;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2007;
3. მერაბ ტურავა „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, თბილისი, 2006;
4. თამაზ დონჯაშვილი „საქართველოს სისხლის სამართალი“ ზოგადი ნაწილი“ თბილისი, 2003;
5. საკითხები ადვოკატთა ტესტირებისათვის, ტომი I, თბილისი, 2006;
6. ტესტები პროკრატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდებისათვის, თბილისი, 2006.

რეზიუმე

აუცილებელი მოგერიების სამართლებრივი დახასიათება

თათია დოლიძე

ნაშრომში განხილულია აუცილებელი მოგერიების არსი, მნიშვნელობა და მისი პირობები. სტატიაში ასევე წარმოდგენილია რა სამართლებრივი პროცედურა ხორციელდება გამოძიების ორგანოს მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა აუცილებელი მოგერიება.

SUMMARY

Juridical nature of necessary defense

Tatia Dolidze

In this publication is examined essence, meaning and conditions of necessary defense. In this publication there is as well represented what kind of legal procedure is realized by the inquiry organ in case if there is necessary defense.

РЕЗЮМЕ

Правовое характеристика необходимо й обороны

Татиа Долидзе

В работе рассмотрены суть, значение и условия необходимой обороны. В статье также представлено какие правовые процедуры осуществляется органами следствия в том случае когда на лицо ситуация необходимая обороны

ქ. თბილისის უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების) ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული ასპექტები

თინათინ ჩიგოგიძე,
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში დედაქალაქის ურბანული განვითარების პროცესის პროგნოზირებისას უძრავი ქონების კლასიკური ოთხეულიდან – მიწა, შენობა-ნაგებობები, მრავალწლიანი ნარგავები, წიაღისეული – პირველი ორის წამყვანი როლი უდავოა.

ქ. თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირების ანალიზის ძირითად მიზანს შეადგენს კონკრეტულ დროსა და სივრცეში ეკონომიკური დაგეგმვის ქმედითი, კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული ხედვისა და ურბანმენეჯმენტის სათანადო ინსტრუმენტარის შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად დასაზუსტებელია რიგი მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული ამოცანებისა.

შესაბამისი პროექტი აქტუალურია ქ. თბილისში უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირების სფეროში, სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის და სხვა დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის (დეველოპერები, მენაშენეები, დამპროექტებლები) და უპირატესად - ქ. თბილისის ახალი თაობის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფისთვის.

ამ პრობლემის დამუშავების საფუძველს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური სამსახურის ინიციატივა და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების, მათ შორის საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის მიერ უძრავი ქონების თემატიკაზე შესრულებული ნაშრომები – პროექტები, სამეცნიერო თემები, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშები, მოხსენებები და პუბლიკაციები.

უძრავი ქონების ფასების ზრდის ტენდენცია, დადასტურებული ისტორიული გამოცდილებით, ვრცელდება საქართველოზეც. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, როდესაც შეიმჩნევა ე.წ. “ველური კაპიტალიზმის” ნიშნები, და ამავედროულად – პრობლემის არასაკმაო მეთოდოლოგიური და ნორმატიული უზრუნველყოფის ფონზე, რეალურია მიწაზე სპეკულაციური ფასების ჩამოყალიბების საშიშროება, რაც ვერ წაადგება ურბანიზირებული სივრცის მდგრად განვითარებას, ძირითადად ორიენტირებულს ფართომასშტაბიან მუნიციპალურ პროგრამებზე (და არა მხოლოდ კერძო ინიციატივებზე დამყარებულს).

შესაბამისი ნორმატიული ბაზის განვითარება და სრულყოფა ვერ დაეფუძნება მეთოდოლოგიურად გაუმართავ და უწყებრივი ინტერესებით ნაკარნახევ ცალკეულ ნორმატიულ აქტებს.

ქალაქის ოპტიმალური განვითარების მეთოდური და ორგანიზაციული საშუალებების არსენალში მენაშენეთა სრულ ინფორმირებულობასთან ერთად ერთ-ერთი უმთავრესია უძრავი ქონების მასობრივი შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა. სწორედ ასეთ შესაძლებლობაზე უნდა იყოს ორიენტირებული ქალაქში უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის, ფასების დადგენისა და მონიტორინგის ექსპერტული სისტემა

ურბანული განვითარების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა უკანასკნელ ხანებამდე ფაქტიურად არ იყენებდა სისტემური ანალიზის აპარატს, მაშინ როდესაც მოდელირების თეორიის, ექსპერტული სისტემების, მონაცემთა (ცოდნათა) ბაზების (ბანკების) გამოყენება განსახილველ სფეროში ფასეულობათა გააზრებისა და შესაბამისი სწორი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი უნდა გახდეს. ინფორმაციული და პროცედურული ბლოკების უნიფიკაცია (სტრუქტურულ-

იერარქიული აზრით) “საწარმოო დისციპლინის” აუცილებელი პირობაა. ტერიტორიის ზონირების დონეები (ზონა, სექტორი, კვარტალი, ნაკვეთი), სამართლებრივი ნორმის კომპონენტები (ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია), უძრავი ქონების ძირითადი მაჩვენებლები (ღირებულება, მფლობელი, სერვიტუტი, იპოთეკა) ცხადად და ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს ინტერპრეტირებული.

განსახილველია საქართველოში უძრავი ქონების ბაზრის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა და პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

შესასწავლია თბილისის უძრავი ქონების ბაზრის სტრუქტურა (მისი სეგმენტაცია). გასაანალიზებელია უძრავი ქონების როგორც პირველადი, ისე მეორადი ბაზარი: მოთხოვნილება-შემოთავაზების თანაფარდობა, ფასების დონე, ობიექტების ლიკვიდურობა, ბაზრის გახსნილობა, თავისუფლების ხარისხი, სივრცით-ტერიტორიული ასპექტები, “პრესტიჟულობის” ფენომენი, “მარგინალობის” (მომიჯნავეობის) ეფექტი, ობიექტის “ხარისხის მაჩვენებლების” ნომენკლატურა, ფასების “რელიეფი” და მისი მორფოდინამიკა.

განხილულ უნდა იქნას უძრავი ქონების ბაზრის ობიექტების ფუნქციური პროფილი და არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებები (საცხოვრისი, საოფისე შენობები, სავაჭრო ობიექტები და სხვა; სართულიანობა, კონსტრუქციული სქემა, სექციური, წერტილოვანი, გალერეული და სხვა; ინდივიდუალური სახლები, კონდომინიუმები; სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწები; ვაკანტური და ”ხამი” ტერიტორიები) - როგორც წესი, უძრავი ქონების კლასიფიკატორის შესაბამისად იდენტიფიცირებული ობიექტის კოდირების მკაფიოდ სტრუქტურირებული, პოზიციონირებული რვანიშნა ათობითი სისტემის (კლასი, ჯგუფი, სახეობა, ტიპი) შესაბამისად, რაც შემოთავაზებულია საქართველოს ურბანისტა ასოციაციის მიერ.

უნდა დაფიქსირდეს ქ. თბილისის პირობებში უძრავი ქონების ბაზრის ყველა ფუნქციური რგოლი - მომხმარებელიდან საჯარო რეესტრამდე.

პროექტის შესრულების მეთოდოლოგია გულისხმობს ექსპერიმენტული შერჩევითი მონაცემთა ბაზის შემუშავებას სტატისტიკური დეპარტამენტის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, დეველოპერების, მენაშენეთა შესახებ მონაცემების; განცხადებების კონტენტ-ანალიზის, საექსპერტო გამოკითხვისა და უძრავი ქონების ბაზრის შუკ თ-ანალიზის გზით. ჩატარებულ უნდა იქნას უძრავი ქონების ობიექტების შეფასების მეთოდების შედარებითი ანალიზი. განხილულ იქნას ტერიტორიების კომპლექსური ქალაქთმშენებლური შეფასების პრობლემა. გამოყენებულ იქნას მოპოვებული მასალის პირველადი სტატისტიკური დამუშავების მეთოდი, ინფორმაციის დამუშავებისა და ვიზუალიზაციის კომპიუტერული ტექნოლოგია.

ბაზრის ძირითადი მახასიათებლების მოპოვებისა და ანალიზის მეშვეობით განხილული უნდა იქნას ქ. თბილისის პირობებში უძრავი ქონების ბაზრის რეტროსპექტივა (პანელური კვლევის მეთოდი) და დღევანდელი მდგომარეობა.

ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოსაზრებები უძრავი ქონების ბაზრის პერსპექტიული განვითარების თაობაზე - როგორც ექსტრაპოლაციის მეთოდით (გამოვლენილი ტენდენციების გათვალისწინებით), ასევე ექსპერტული ხედვების შეჯერების საფუძველზე.

შემოთავაზებულ უნდა იქნას უძრავი ქონების ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროები, პროცედურები და ტექნოლოგიები - მონაცემთა რელიაციური ბაზა, ინტერნეტი, გეოინფორმაციული სისტემა და მონიტორინგის მეთოდური და ორგანიზაციული ასპექტები.

ლიტერატურა
Literature
Литература

1. „ქ. თბილისის არქიტექტურული და ურბანისტული განვითარების მეთოდოლოგიური ბაზა და მისი განვითარების სტრატეგია“. სუა. ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველო" ფინანსური მხარდაჭერით. 1997 წ.
2. „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უძრავი ქონების ბაზრის სამართლებრივი, ინსტიტუციური და ინფორმაციული საფუძვლების შემუშავება“ (საიტი <http://www.urbia.gol.ge>). სუა. ფონდის "ევრაზია" ფინანსური მხარდაჭერით. 2000 წ.
3. „საცხოვრისის შეფასების ურბანული და არქიტექტურულ-გეგმარებითი ასპექტები“. სუა. „შორბანკის“ (აშშ) ფინანსური მხარდაჭერით. 2002 წ.
4. „ქალაქგანვითარების მონიტორინგის ხელმისაწვდომი სისტემის მოდელის შემუშავება“ (საიტი <http://www.urbandev.org.ge>). სუა. ფონდის "ევრაზია" ფინანსური მხარდაჭერით. 2000 წ.

რეზიუმე

ქ. თბილისის უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების) ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული ასპექტები

თინათინ ჩიგოგიძე

ქ. თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირების ანალიზის ძირითად მიზანს შეადგენს ეკონომიკური დაგეგმვის ქმედითი, კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული ხედვისა და ურბანმენეჯმენტის სათანადო ინსტრუმენტარის შემუშავება. ამ მიზნის მისაღწევად დასახულ უნდა იქნას რიგი მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული ამოცანებისა. განხილულ უნდა იქნას უძრავი ქონების ბაზრის სტრუქტურა და ძირითადი კატეგორიები, ობიექტების ტიპოლოგია, ფუნქციონირების სუბიექტები და ინსტიტუციები.

SUMMARY

Methodological-organizational aspects of the analysis of the market of the real estate (the ground areas, buildings and constructions) of Tbilisi

Tinatin Chigogidze

The basic purpose of the analysis of functioning of the market of the real estate of Tbilisi is development of corresponding toolkit of the effective vision focused on concrete results and urban management. Statement is necessary for achievement of this purpose of some methodological-organizational tasks. Consideration of structure and the basic categories of the market of the real estate, typology of objects, subjects of functioning and institutions are necessary.

РЕЗЮМЕ

Методико-организационные аспекты анализа рынка недвижимости (земельных участков, зданий и сооружений) г. Тбилиси

Тинатин Чигогидзе

Основной целью анализа функционирования рынка недвижимости г. Тбилиси является разработка соответствующего инструментария действенного, ориентированного на конкретные результаты видения и урбанменеджмента. Для достижения этой цели необходима постановка ряда методико-организационных задач. Необходимо рассмотрение структуры и основных категорий рынка недвижимости, типологии объектов, субъектов функционирования и институций.

**ატმოსფერული ნარჩენების კომპლექსური
ენერგოტექნოლოგიური უტილიზაციის პრინციპი**

**გელა ბიჭინაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი**

ნაშრომში მოყვანილი ენერგოტექნოლოგიური უტილიზაციის პრინციპი მოითხოვს ამორჩეული მიმართულების კონკრეტიზაციას, სადაც ნებისმიერი დადებითი ეფექტი გვაძლევს საშუალებას, მივაღწიოთ საპაერო აუზის მდგომარეობის საგრძნობ ცვლილებას, სამრეწველო ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ ამ პროცესების ყოვლისმომცველი შეღწევის შედეგად.

აქვე უნდა აღინიშნოს მისაღები ეკოლოგიური აქცენტების მოულოდნელი შერევა ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების წყაროებთან. სათბობენერგეტიკული ცენტრალის [1] მილი წარმოადგენს ატმოსფეროს დაბინძურების თავისებურ ნათელ სიმბოლოს. თუმცა, საქვების კარგად დარეგულირებულ საკვამურ მილს ატმოსფეროს ზედა ფენებში აქვს მნიშვნელოვნად ნაკლები მავნე ნივთიერებები, ვიდრე სავენტილაციო სისტემის ან ტექნოლოგიური მოწყობილობების ჰაერგამწოვ „ქოლგებს“, რომელიც დამონტაჟებულია სახურავზე ოდნავ ზემოთ.

თავის დროზე სიგალისა და გურევიჩის მიერ წარმოდგენილი იყო პროდუქტების წვის ტოქსიკურობის პირობითი მაჩვენებელი [2], რომელიც ითვალისწინებდა არა მარტო რაოდენობას, არამედ მათში არსებული ადამიანისათვის საშიში მავნე ნივთიერებების შემცველობას. მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, მეთოდი აღმოჩნდა იღბლიანი და დღესაც გამოიყენება ატმოსფეროს დაბინძურების სტატისტიკაში მოყვანილი დილეური ატმოსფერული ნარჩენების პირობითი მასიური ერთეულის სახით (მაგ. პირ. ტ/წელიწადში). დროთა განმავლობაში მეთოდიკა შევსებული იყო არა უბრალო არითმეტიკული, არამედ მათი ტოქსიკურობის დაჯამების ბიოლოგიური ეფექტის პრინციპით. ჯამური ტოქსიკურობის მაჩვენებლებში შედიან არა მარტო მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები C_1 და მათი ტოქსიკურობის ფორმალური მაჩვენებლები $INDK_1$, არამედ γ_1 მათზე ჯამური ზემოქმედების ბიოლოგიური მაჩვენებელი, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამებისას ($0 < K_1 < 1$). ცნობილია ნივთიერებების მავნე გავლენის გაძლიერების მაგალითები არა მარტო ერთობლივი ზემოქმედებით ($\gamma_1 > 1$), არამედ თავისებური ანტოგონიზმიც ($\gamma_2 < 0$), როდესაც ერთი მავნე ნივთიერება რამდენადმე ასუსტებს მეორის მოქმედებას.


$$\Gamma_{CM} = \sum_{l=1}^n K_1(C_l / INDK_1). \quad (1)$$

ამ მაჩვენებლის მიხედვით თევზკომბინატის, ან ერთი შეხედვით უწყინარი ქაღალდის წარმოების ნარჩენები აღმოჩნდა თითქმის 2-ჯერ უფრო მაგნე, ვიდრე ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები [3]. ქალაქის ხის ბაზა, რომელიც წვავს მხოლოდ კარანტინიანი ხის ტარას ატმოსფეროს მიწისზედა ფენაში გამოდევნის 30 კგ/სმ-ზე მეტ მაგნე ნივთიერებებს [4]. მათ შორის ფენოლი, ფურფუროლი, ადდეჰიდი, დიაცეტილი, კეტონი, ჭიანჭველის და ძმრის მჟავები, კარცეროგენული *IIAY*, მტვრევადი ნივთიერებები (რომელთა შემადგენლობაში შედის 400-მდე მერქნის პიროლიზის პროდუქტები).

ეს მაგალითები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გაუწეებლობის პრობლემის ანალიზის მეთოდოლოგიური დაბეჯითების აუცილებლობას თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

ენერგო-ეკოლოგიური მეთოდი მოითხოვს თვითონ ტერმინ „გაუწეებლობა“-ს და-კონკრეტებას. ადამიანისა და ბუნებისათვის ბევრი მაგნე ნივთიერებები წარმოადგენს ძვირფას ქიმიურ ნედლეულს. საკვები პროდუქტების შებოღვისას სასარგებლოდ გამოიყენება მხოლოდ ე.წ. შემბოღავი აგენტების დაახლოებით 3%, რომელიც წარმოიქმნება შესაბოლო კვამლის გენერირებისას. სავენტილაციო სისტემის გამწოვი ჰაერის უანგბადი შეიძლება წარმატებულად იყოს გამოყენებული წვის პროცესის დროს. გავრცელებული სახით იგი წარმოადგენს არა მარტო გამონაბოლქვი აირების სასარგებლო კომპონენტს, არამედ მის რომელიმე სასარგებლო თვისებას. ნარჩენი აირების განლაგების ენტალპია ყველაზე ხშირი შემთხვევაა და მისი სითბოს უტილიზაცია საკმაოდაა გავრცელებული, გერმანიაში არსებობს შიდა ქარხნული რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის მაგალითები საქვაბე მოწყობილობების აკუმულირებულ ჭარბ ორთქლზე. დაბალპოტენციური წყლის ორთქლი წარმოიქმნება ჩამონადენი წყლების თერმული გაუწეებლობის შემთხვევაში, ხოლო ავტოკლავის ტექნოლოგიის მქონე ქიმიურ აპარატებს აქვთ მნიშვნელოვნად ჭარბი წნევა.

ენერგო-ეკოლოგიური ანალიზის საფუძველზე საჭიროა გაურკვეველი ტერმინის „გაუწეებლობის“ ნაცვლად, ფუძემდებელის სახით ჩამოაყალიბოს ორთქლი-აირიანი ატმოსფერული გამონაბოლქვის კომპლექსური ენერგოტექნოლოგიური უტილიზაციის პრინციპი. ამგვარი მიდგომის შედეგი ნათლადაა წარმოდგენილი ამ პრობლემის ბლოკ-სქემაზე (ნახ. 1), რომელშიც თანმიმდევრობითაა ასახული მისი სტრუქტურა და შესაბამისად წარმატებული გადაწყვეტის გზები.



ნახ. 1. ორთქლადიარიანი ატმოსფერული გამონაბოლქვის კომპლექსური ენერგო-ტექნოლოგიური პრობლემის ბლოკ-სქემა

ლიტერატურა
Literature
Литература

1. ბიჭინაშვილი გ. ქალაქის საჰაერო გარემოს და მისი მომწამლავი ნივთიერებების დაბინძურებით გამოწვეული თავისებურებები // საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“. № 2. თბილისი, 2006. გვ. 87-90.
2. Сигал И.Я., Гуревич Н.А. Оценка влияния различных источников газовых выбросов на загрязнение атмосферного воздуха // Укр. химический журнал. – Киев. 1971. № 2. – с. 140-150.
3. Вулис Л.А., Ярин Л.П. Аэродинамика факеля. Л.: Энергия. 1978. 216 с.
4. Гаврилов П.Ф., Горбаненко А.Д., Туркестанова Е.Л. Влияние влаги, вводимой в горячий воздух, на содержание окислов азота в продуктах сгорания / Теплоэнергетика, 1983. № 9, - с. 13-15.

რეზიუმე

**ატმოსფერული ნარჩენების კომპლექსური
ენერგოტექნოლოგიური უტილიზაციის პრინციპი**

გელა ბიჭინაშვილი

ნაშრომში გადმოცემულია ატმოსფერული ნარჩენების კომპლექსური ენერგოტექნოლოგიური უტილიზაციის პრინციპი. მოცემული მეთოდითაა შეესაბამება ტოქსიკურობის დაჯამების ბიოლოგიური ეფექტის პრონციპით. მოყვანილია ორთქლიანი ატმოსფერული გამონაბოლქვის კომპლექსური ენერგო-ტექნოლოგიური პრობლემის ბლოკ-სქემა.

SUMMARY

The principle of utilization of complex energy-technological atmospheric residues

Gela Bitskinashvili

In this publication the utilization principle of combined energy-technological atmospheric residues is investigated. In the publication the method also is given. It is filled with summation of toxic with effect of biological principle. There is shown the complex energy-technological scheme of steamy atmospheric exhaust.

РЕЗЮМЕ

**Комплексный энерготехнологический принцип
утилизации атмосферных остатков**

Гела Бицкинашвили

Труд передаёт комплексный энерготехнологический принцип утилизации атмосферных остатков. Приведённая методика дополнена принципом биологического эффекта суммирования токсичности. Дается блок-схема энерготехнологической проблемы паровых атмосферных выхлопов.

ბაკიდული ბაბირის სხვადასხვა მეთოდით ანგარიში


გიორგი ჯავახიშვილი,
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროგრამირების ალგორითმული ენების განვითარების პირობებში, სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს ბაგირგზის ბაგირთა სისტემის ანგარიშის კომპიუტერული მეთოდები. ბაკიდული ბაგირი, როგორც კვლევის ობიექტი, წარმოადგენს რთულ სისტემას, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით და პროექტირების დროს მათს გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება; კერძოდ კი, მთელი სისტემა ბაკიდულია სივრცეში რამოდენიმე ასეულ, შესაძლოა ათას მეტრზეც; გაჭიმული ბაგირი ურთიერთქმედებს მრავალ ელემენტთან, როგორცაა: ამძრავი, დამჭიმი ტვირთი, ვაგონი, საყრდენები, ამძრავი და მიმართველი შკივები, რომლებიც, თავის მხრივ წარმოადგენენ არაწრფივ სისტემებს; ბაგირს გააჩნია სიხისტე და ამდენად ადგილი აქვს დრეკად დეფორმაციებსა და რხევებს; განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხახუნის ძალების არსებობა. ამრიგად, ბაკიდული ბაგირის წონასწორობის მდგომარეობის პოვნა დადის მრავალუცხოვანი არაწრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე. მოყვანილი გარემოებები ბაგირგზების პროექტირებისას კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას სულ უფრო აქტუალურს ხდის.

ბაკიდული ბაგირის ანგარიშის კომპიუტერული მეთოდებიდან აღსანიშნავია ბაგირის დისკრეტული მოდელი, რომელიც დამუშავებული და შემოთავაზებულია პროფ. დ. პატარაიას მიერ. დისკრეტული მოდელი საშუალებას გვაძლევს პროექტირების დროს მაქსიმალურად გავითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები, რაც პროექტის ხარისხიანობის, ანგარიშის სიზუსტის ამაღლების წინაპირობაა.

ბაგირის დისკრეტულ მოდელში ორ წერტილს შორის ბაკიდული ბაგირი შეგვიძლია წარმოვადგინოთ როგორც ერთმანეთის მიმდევრობით შეერთებული n რაოდენობის უბანი (ელემენტარული კვანძი), რომელშიც გადანაწილებულია ბაგირის ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები: საკუთარი წონით და სხვა გარე ზემოქმედებით (მაგ. ქარი) შექმნილი დამატებითი დატვირთვა და მისი მიმართულება, ბაგირის უჭიმავი (სამონტაჟო) სიგრძე, ბაგირის სიხისტე [2]. ასეთი სისტემის სტატიკური წონასწორობის მდგომარეობა დადგება მაშინ, როდესაც ერთდროულად ყველა ელემენტარულ კვანძზე მოქმედი ჯამური ძალა აღმოჩნდება ნულის ტოლი. ამრიგად, ბაკიდული ბაგირის ანგარიში შეგვიძლია დავიყვანოთ ელემენტარული კვანძის სტატიკური წონასწორობის პოვნის ამოცანად. უკვე დიდი ხანია ცნობილია და წარმატებით გამოიყენება ბაკიდული ბაგირის დისკრეტული მოდელის კომპიუტერული გაანგარიშების ალგორითმი და პროგრამა.

აღნიშნული სტატიის მიზანს წარმოადგენს, ბაგირის გაანგარიშების კლასიკური მეთოდებით (მოქნილი ძაფის, პარაბოლით აპროქსიმაციის) და ბაგირის დისკრეტული მოდელის გამოყენებით მიღებული შედეგების შედარება. ამ პროცესში სრული სურათის მისაღებად საჭიროა თითოეული მეთოდი ჩავაყენოთ თანაბარ პირობებში, რათა იმთავითვე გამოირიცხოს რომელიმე მათგანისადმი სუბიექტური დამოკიდებულება.



ნახ. 1 ორ წერტილს შორის გაკიდული ბაგირი

საკვლევი ამოცანა ზოგადი სახით შემდგენიარად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: A და B წერტილს შორის გაკიდულია L_0 სიგრძის (სამონტაჟო სიგრძე) ერთგვაროვანი ბაგირი, რომლის ერთეული მეტრის წონაა q , განიკვეთის ფართობი - F და დრეკადობის მოდული - E . წერტილებს შორის ჰორიზონტალური სიგრძე ავლინშნოთ l -ით, ხოლო დონეთა შორის სხვაობა - h -ით (ნახ. 1).

მოქნილი ძაფი – დასმული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ჯაჭვწირის c პარამეტრის პოვნა. როგორც ცნობილია, გაკიდული ბაგირის სიგრძე შესაძლებელია გამოითვალოს ფორმულით:

$$L_0 = \sqrt{h^2 + \left(2 \cdot c \cdot sh \left(\frac{l}{2 \cdot c} \right) \right)^2} \quad (1)$$

რომელიც რიცხვითი მეთოდებით ადვილად შეიძლება ამოიხსნას c -ს მიმართ. ჯაჭვწირის პარამეტრის განსაზღვრის შემდეგ გაკიდული ბაგირის სხვა ძირითადი სიდიდეების ანგარიში პრაქტიკულად არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს [2, 3, 4]. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მოქნილი ძაფის თეორიით, გაკიდული ბაგირის კვლევის დროს, არ ხდება ბაგირის დრეკადი დეფორმაციების გათვალისწინება.

ჯაჭვწირის პარაბოლით აპროქსიმაცია – ყრუდნმაგრებული ბოლოებიანი ბაგირის გაანგარიშების თანმიმდევრობა დეტალურად არის აღწერილი ლიტერატურაში [1, 3, 4]. იქვე გამოყვანილია ცნობილი განტოლება, რომელიც ამყარებს დამოკიდებულებას ბაგირის მოცემულ და იმ ახალ მდგომარეობას შორის, როდესაც ხდება ბაგირის დატვირთვის ან გარემოს ტემპერატურის შეცვლა. დასმული ამოცანის პირობიდან გამომდინარე, გაკიდული ბაგირის ცნობილ მდგომარეობას შეესაბამება ის მაქსიმალური დაჭიმულობა, რომელიც ბაგირს ექნება A და B წერტილებში ჩამაგრების შემდეგ.

ბაგირის სიგრძე გამოითვლება ცნობილი ფორმულით:

$$L_0 = \frac{l}{\cos \beta} + \frac{q^2 l^3}{24 \cdot H^2 \cdot \cos \beta} \quad (2)$$

სადაც, H ბაგირის დაჭიმულობის ჰორიზონტალური მდგენელია, კნ.

(2)-დან შესაძლებელია განვსაზღვროთ ბაგირის დაჭიმულობის ჰორიზონტალური მდგენელი H . თუ ჩავთვლით, რომ ბაგირის დატვირთვა და გარემოს ტემპერატურა უცვლელი დარჩა, გაკიდული ბაგირის სხვა პარამეტრების

განგარიშება შესაძლებელია ვაწარმოვით (2) ფორმულიდან განსაზღვრული ბაგირის დაჭიმულობის ჰორიზონტალური მდგენელისთვის.

ბაგირის დისკრეტული მოდელი – გაკიდული ბაგირის ანგარიშისას მხედველობაში მიიღება ბაგირის საკუთარი წონითა და სიხისტით გამოწვეული დრეკადი დეფორმაციები. თითოეული უბნისთვის ხდება გაუწონასწორებელი ძალის განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს კვანძზე მოქმედი ყველა ძალის გეომეტრიულ ჯამს. იმისდა მიხედვით, თუ რა სიდიდის არის ეს ძალა, ელემენტარული კვანძი შეიცვლის თავის მდებარეობას ისე, რომ მოხდეს მოქმედი ჯამური ძალის შემცირება. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ ბაგირის გაუწონასწორებელი ძალა არ გახდება თეორიულად ნულის, ხოლო პრაქტიკულად ε მანქანური ანგარიშის სიზუსტის ტოლი.

სტატიაში დასმული ამოცანა გადაჭრილია სამივე მეთოდის გამოყენებით შემდეგი საწყისი პირობებისთვის: ძალის ჰორიზონტალური სიგრძე - $l=1500$ მ; ძალის დონეთა შორის სხვაობა - $h=500$ მ; შერჩეულია სასტ. 3065-46 ტიპის ღია სპირალური ბაგირი, რომლისთვისაც ერთეული მეტრის წონა არის $q=0,1$ კნ/მ; განიკვეთის ფართობი - $F=1198$ მმ²; ბაგირის სამონტაჟო სიგრძე - $L_0=1600$ მ; ბაგირის დრეკადობის მოდული - $E=160$ გპა შერჩეულია [3] –ში მოყვანილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ცხრილში №1 ნაჩვენებია ანგარიშის შედეგები სამივე მეთოდისთვის.

ცხრილი 1. გაკიდული ბაგირის ანგარიშის შედეგები პარაბოლით აპროქსიმაციის, მოქნილი ძაფისა და დისკრეტული მოდელის გამოყენებით

საანგარიშო სიდიდეები	პარაბოლით აპროქსიმაცია	მოქნილი ძაფი	დისკრეტული მოდელი	ცდომილება დისკრეტული მოდელის მიმართ			
				პარაბოლით აპროქსიმაცია		მოქნილი ძაფი	
				აბსოლუტური	ფარდობითი	აბსოლუტური	ფარდობითი
ბაგირის დაჭიმულობა, [კნ]							
T_A - საყრდენი A	280,705	266,803	256,371	-24,334	-9,49%	-10,432	-4,07%
T_B - საყრდენი B	329,158	316,803	306,377	-22,781	-7,44%	-10,426	-3,40%
T_D - ძალის შუაში	295,505	280,623	269,929	-25,576	-9,47%	-10,693	-3,96%
ბაგირის ჩაიკიდულობა, [მ]							
$l_{ელ/2}$ ძალის შუაში	105,751	111,805	121,370	15,619	12,87%	9,565	7,88%
ბაგირის მხების კუთხე, [გრადუსი]							
A_A - საყრდენი A	2,94	2,40	1,77	-1,17	-65,82%	-0,63	-35,6%
A_B - საყრდენი B	31,61	32,71	33,24	1,63	4,91%	0,53	1,59%
A_D - ძალის შუაში	18,43	18,21	18,30	-0,14	-0,76%	0,09	0,47%


როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, პარაბოლით აპროქსიმაციის მეთოდი იძლევა მაქსიმალურ ცდომილებას თითქმის ყველა ძირითადი სიდიდის ანგარიშისას. ანსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყრდენებთან ბაგირის მხების კუთხეების განსაზღვრისას (65,9%).

მოქნილი ძაფის მეთოდით ნაანგარიშები სიდიდეები მეტ-ნაკლებად ჯდება დასაშვები ცდომილების ფარგლებში. ამ მეთოდის ცდომილების ძირითადი წყარო არის ის გარემოება, რომ ანგარიშის დროს მხედველობაში არ მიიღება ბაგირის დრეკადი წაგრძელება.


გაკიდული ბაგირის ანგარიში დისკრეტული მოდელის გამოყენებით ჩატარდა შემდეგი პირობებისათვის: დისკრეტული კვანძების რაოდენობა $n=50$; ბაგირზე მოქმედი დასაშვები ჯამური გაუწონასწორებელი ძალა $T_{sum}=0$ კნ; ანგარიშის დროს გამოყენებული იყო საშუალო სიმძლავრის და გამოთვლითი

რესურსების მქონე კომპიუტერი *Intel Pentium IV - Celeron(1,8GH, 256MB RAM)*; ანგარიშის ხანგრძლივობამ შეადგინა 5 წთ; ანგარიში ავტომატურად შეწყდა, როდესაც ბაგირზე რეალურად მოქმედი ჯამური გაუწონასწორებელი ძალა $T'_{sum} = 0,0204$ კნ, რაც მოცემული შემთხვევისთვის პრაქტიკულად შეესაბამება ბაგირის დაჭიმულობის მიმართ მანქანური ანგარიშის სიზუსტეს;


ნახაზებზე 2, 3 და 4 ნაჩვენებია გაკიდული ბაგირის ანგარიშის შედეგების გრაფიკები.



ნახ. 2 ორ წერტილს შორის გაკიდული ბაგირი



ნახ. 3 გაკიდული ბაგირის დაჭიმულობა



ნახ. 4 გაკიდული ბაგირის მხების კუთხე

მიღებული შედეგების შედარება საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

გაკიდული ბაგირის ანგარიშის კლასიკური მეთოდებით მიღებული შედეგები (ჯაჭვწირი და პარაბოლით აპროქსიმაცია), განსაკუთრებით გრძელი ძაღის შემთხვევაში, ხასიათდებიან გარკვეული ცდომილებებით, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ ბაგირგზების უსაფრთხო ექსპლუატაციის დარღვევის წინაპირობა. ამ ცდომილებების გამომწვევი მიზეზები, სხვა ცნობილ მიზეზებთან ერთად, არის ბაგირის დრეკადი წაგრძელებების მხედველობაში მიუღებლობა. გაკიდული ბაგირის ანგარიში, განსაკუთრებით საყრდენებთან ახლოს, უმჯობესია ვაწარმოოთ ბაგირის დისკრეტული მოდელის გამოყენებით. ცალკე კვლევის საგანია დისკრეტული მოდელით ანგარიშის სიზუსტეზე კვანძების რაოდენობის გავლენის დადგენა. დისკრეტული მოდელის შემთხვევაში ბაგირის დეფორმაციას არსებითად ითვალისწინებს თავად მოდელი, რაც განაპირობებს ანგარიშის შედეგების შედარებით მაღალ სიზუსტეს.

ლიტერატურა
Literature
Литература

1. კ. ბარამიძე, ი. კოგანი. სამგზავრო კიდული საბაგირო გზები. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1969 წ. 245 გვ.
2. Патарая Д. И. Расчет и проектирование канатных систем на примере подвесных дорог. «Мецниереба», Тбилиси, 1991, 102 с.
3. Дукельский А.И. Подвесные канатные дороги и кабельные краны. «Машгиза», Москва-Ленинград, 1951, 398 с.
4. Беркман М.Б., Бовский Г.Н., Куйбида Г.Г., Леонтьев Ю.С. Подвесные канатные дороги. Москва, Машиностроение, 1984, 264 с.

რეზიუმე

გაკიდული ბაგირის სხვადასხვა მეთოდით ანგარიში

გიორგი ჯავახიშვილი

განხილულია ყრუდჩამაგრებულბოლოებიანი ბაგირის გაანგარიშების ამოცანა მოქნილი ძაფის, პარაბოლით აპროქსიმაციისა და პროფ. დ. პატარაიას მიერ შემუშავებული ბაგირის დისკრეტული მოდელის გამოყენებით. ანგარიშის შედეგები წარმოდგენილია ცხრილის და გრაფიკების სახით. განსაზღვრულია აბსოლუტური და ფარდობითი ცდომილებები. დადგენილია, რომ პრაქტიკული ანგარიშის დროს, პარაბოლით აპროქსიმაციის მეთოდის გამოყენებისას, ადგილი აქვს მაქსიმალურ ცდომილებას.

SUMMARY

Calculation of a slacking cable rope by various methods

Giorgi Javakhishvili

The problem of calculation of key parameters of slacking cable rope, with deaf fixation of the ends, three various methods are considered: under the theory of a flexible filament, a method of approximating by a parabola and using the discrete model of a cable rope proposed by Prof. D. Pataraiia. Outcomes of the fulfilled calculation for matching are introduced in the form of tables and graphs. Absolute and relative errors are determined. It is drawn a lead-out, that the greatest, for practical calculation a unacceptable lapse a method of approximating by a parabola.

РЕЗЮМЕ

Расчет провисающего каната различными методами

Гиорги Джавахишвили

Рассмотрена задача расчета основных параметров провисающего, с глухим закреплением концов, каната тремя различными методами: по теории гибкой нити, метода аппроксимации параболой и с помощью дискретной модели каната, предложенной проф. Патарая. Результаты выполненных расчетов для сравнения представлены в виде таблиц и графиков. Установлены абсолютные и относительные погрешности. Сделан вывод, что наибольшую, для практических расчетов неприемлемую погрешность дает метод аппроксимации параболой.

სივრცითი კომბინირებულ კონსტრუქციებში დეფორმაციებისა და ძალების რეგულირება ელემენტო-მიქსანიკური და ბოჭკოვან-ოპტიკური სენსორების გამოყენებით

ი. მელაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ლ. ბალანჩივაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,

ი. ბაკურაძე, სტუ-ს ბაკალავრი

1. შესავალი

მშენებლობის და ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში ფართოდ გამოყენება სივრცითი კომბინირებული კონსტრუქციები, მათ შორის კომბინირებული ფილები და გარსები, რომლებიც განსხვავდებიან ჩვეულებრივ სივრცითი კონსტრუქციებისაგან იმით, რომ მათში გამოიყენება ბაგიროვანი ან ვანტური სისტემები.

თუ გარსის კონტური ან მისი ზედაპირის ნებისმიერი წერტილი ეყრდნობა ვანტურ ან ბაგიროვან სისტემას განიხილება მათი ერთობლივი მუშაობა, რომელიც გავლენას ახდენს გარსის ტანის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე.

ბაგიროვანი ან ვანტური სისტემების წინასწარი დაძაბვა, ან მათში ძალების რეგულირება იწვევს გარსის კონტურზე და მის ტანში დისკრეტულ დამყოლობის ცვლილებებს შესაბამის ლოკალურ ზონაში, ასევე როგორც შეყურსული გარე ძალა მცირე უბანზე გარსში ღუნვას შეზღუდულ არეში და მისი ზომა დამოკიდებულია გარსის სიმრუდეზე, მის სისქეზე, მის გეომეტრიაზე გეგმაში და ასევე სხვა პარამეტრებზე.


აღნიშნული შეყურსული ძალის ეფექტი განხილულია ცილინდრული გარსისათვის, კომბინირებული სისტემის სახით, რადგან გამოყენებულია შემკოჭი ვანტა ან ბაგირი.

1.1. ძალების რეგულირება ცილინდრულ გარსებში

ძალების, კერძოდ მღუნავი მომენტის რეგულირებისათვის ცილინდრულ გარსებში გამოყენებული იქნა ღია პროფილის გარსი ლოკალური შეყურსული დატვირთვით.

ცილინდრული გარსის სიგრძის შუაში მოწყობილია საკოჭი-ვანტა, რომელიც არის წინასწარდაძაბული ძალით $H_{p.s} = 0,06$ კნ.

ცილინდრულ გარსში მღუნავი მომენტის რეგულირებისთვის საკოჭის თავზე გარსის ტანში აღებულია ერთეული სიგანის ზოლი, როგორც ეს ნაჩვენებია 1 ნახაზზე.



ნახ. 1.

მე-6 ცნობარიდან ძალვა საკოჭში თვითდაძაბვის განისაზღვრება ფორმულით:

$$X_{s.s} = H_2 = \frac{25}{128} P \cdot K \cdot \frac{l}{f}.$$

მღუნავი მომენტი M_1 შეეურსული ძალის ქვეშ:

$$M_1 = \left(0,25 - \frac{25}{128} K \right) P \cdot l$$

სადაც: $K = 1/(1 + \gamma)$; $\nu = \frac{15}{8} \frac{D}{f^2} \left(\frac{E}{E_c F_c} + \frac{n}{l} \right)$.

აქ $D = E \delta^3 / 12(1 - \mu^2)$; $n = 0,785$. როდესაც $\frac{f}{l} = 0,263$.

მთლიანი ძალვა საკოჭში ჯამდება წინასწარი დაჭიმულობის ძალვისაგან და საკოჭში თვითდაჭიმულობის ძალვისაგან.

დატვირთვა ცილინდრულ გარსზე მოდებული იყო ეტაპობრივად
= 0,2; 0,4; 0,6; 0,8; 1,0 კნ.

$M_{\max} = |M_{\min}|$ - მღუნავი მომენტის ტოლობის პირობის შესასრულებლად გარსიდან ამოჭრილი ერთეული სიგანის თალი საკოჭით განიხილება, როგორც სტატიკურად ურკვევი სისტემა, რის ამოხსნის შედეგად ვლდებულობთ მთლიან ძალვას კოჭში, რაც წარმოადგენს. ალგებრულ ჯამს ორი ძალვის - თვითდაჭიმვის და წინასწარდაძაბვის ძალვების.

რომ შევინარჩუნოთ მუდმივად მღუნავი მომენტების ტოლობა გარსის კვეთებში, საკოჭის თავზე, საჭიროა გარე ძალის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისად დარეგულირდეს წინასწარდაძაბვის ძალვის სიდიდე საჭიმარში, რაც უნდა უზრუნველყოს ავტომატურმა ელექტრომექანიკურმა () ან ბოჭკოვან-ობტიკურმა სისტემამ ().

[5]-ის მასალებიდან თვითდაჭიმულობის ძალვა უდრის:

$$X_{x.x} = 0,785 \cdot P = 0,471 \text{ კნ} = 47,1 \text{ კგ.}$$

მღუნავი მომენტი თაღოვან ზოლში, ამოჭრილი გარსიდან, ერთეული ძალისაგან საჭიმარში უდრის:

$$M_1 = -f \left(1 - \frac{4x^2}{l^2} \right).$$

მაქსიმალური დადებითი მღუნავი მომენტი, როდესაც $b = 0$, ტოლია:


$$M_{\max} = \frac{Pl}{4} - H_2 f.$$

თუ დავუშვებთ პირობას: $\frac{dM(x)}{dx} = 0$.

საბოლოოდ მივიღებთ: $H_f = 1,07P = 1,07 \cdot 0,6 = 0,64 \text{ კნ} = 64,0 \text{ კგ.}$

რადგან $X_{s.s} = 0,785P = 0,471 \text{ კნ} = 47,1 \text{ კგ}$, მაშინ წინასწარდაძაბვის ძალვა იქნება მთლიანი ძალვისაგან გამოკლებული თვითდაძაბვის ძალვა, ანუ:

$$H_{p.s} = H_f - X_{s.s} = 0,64 - 0,471 = 0,169 \text{ კნ} = 16,9 \text{ კგ.}$$



ნახ. 2

თუ მთლიანი ძალვა საკოჭში შეადგენს $H_f = 0,64$ კნ (64 კგ).

$$\text{პარამეტრი } \frac{l_{\text{საკ}}}{E_{\text{ბაგ}} \cdot F_{\text{ბაგ}}} = \frac{100}{0,1 \cdot 10^6} = 0,001.$$

პუკის კანონის თანახმად დეფორმაცია კოჭში უდრის:

$$\Delta l_{\text{საკ}} = H_f \cdot \frac{l_{\text{საკ}}}{E_{\text{ბაგ}} \cdot F_{\text{ბაგ}}} = 64 \cdot 0,001 = 0,064 \text{ სმ} = 0,64 \text{ მმ}.$$

ექსპერიმენტიდან მიღებულია კომბინირებული სისტემის საკოჭის გადაადგილება დატვირთვის შედეგად $\Delta l_{\text{აჲჲ}} = 2 \cdot \nu_2 = 2 \cdot 3,572 \text{ მმ} = 7,144 \text{ მმ}$.

მაშინ ელექტრომექანიკური სენსორის კონტაქტორებს შორის დღეწო უდრის: $\Delta l_{\text{აჲჲCM}} = 7,144 - 0,64 \text{ მმ} = \Delta l_{\text{აჲჲ}} - \Delta l_{\text{საკ}} = 6,5040 \text{ მმ}$.

თეორიულად მიღებულია $\Delta l_{\text{აჲჲ}} = 3,324 \text{ მმ}$, მაშინ

$$\Delta l_{\text{აჲჲCM}} = 2 \cdot 3,324 - 0,64 = 6,648 - 0,64 = 6,008 \text{ მმ}.$$

12. ცილინდრულ ბარსებში დეფორმაციების რეზუმირება

თეორიის თანახმად ცილინდრული გარსის ტანიდან მსახველის გასწვრივ ორი კვეთის და ორი წრეწირის გამოყენებით, აიღება უსასრულოდ მცირე ელემენტი. შემოვიღოთ უგანზომილებო კოორდინატები:

$$\xi = \frac{x}{R}; \quad \theta = \frac{s}{R}; \quad c^2 = \frac{h^2}{12R^2}. \quad (1)$$

გარსის შუა ზედაპირის წერტილების გადაადგილება კოორდინატთა ღერძების b, y, z -ის გასწვრივ აღვნიშნოთ u, v და w და მივიღოთ უცნობად.

$$\frac{\partial^2 u}{\partial \xi^2} + \frac{1-y}{2} \frac{\partial^2 u}{\partial \theta^2} + \frac{1+y}{2} \frac{\partial^2 v}{\partial \xi \partial \theta} + y \frac{\partial w}{\partial \xi} - c^2 \left(\frac{\partial^3 w}{\partial \xi^3} - \frac{1-y}{2} \frac{\partial^3 w}{\partial \xi \partial \theta^2} \right) = \frac{(1-y^2)}{Eh} R^2 x,$$

$$\frac{1+y}{2} \frac{\partial^2 u}{\partial \xi \partial \theta} + \frac{\partial^2 v}{\partial \theta^2} + \frac{1-y}{2} \frac{\partial^2 v}{\partial \xi^2} + \frac{\partial w}{\partial \theta} - \frac{(3-y)}{2} \frac{\partial^3 w}{\partial \xi^2 \partial \theta^2} = \frac{(1-y^2)}{Eh} R^2 y, \quad (2)$$

$$y \frac{\partial u}{\partial \xi} - c^2 \left(\frac{\partial^3 w}{\partial \xi^3} - \frac{1-y}{2} \frac{\partial^3 u}{\partial \xi \partial \theta^2} \right) + \frac{\partial v}{\partial \theta} - \frac{(3-y)c^2}{2} \frac{\partial^3 v}{\partial \xi^2 \partial \theta} + c^2 \nabla^2 \nabla^2 w + 2c^2 \frac{\partial^2 w}{\partial \theta^2} + c^2 w + w = -\frac{(1-y^2)}{Eh} R^2 z.$$

აქ b, y და z -ზედაპირული ძალების პროექცია ღერძებზე b, y და z -ზე მიკუთვნიებული ერთეული ზედაპირისათვის.

თუ ამოვირჩევთ ცილინდრული გარსის ზედაპირზე რეგულარული სტრუქტურის ცილინდრულ ბადეს უჯრედების ფარდობით ზომებით:

$$\frac{\Delta\xi}{\Delta\theta} = \chi; \quad \frac{1-\nu}{2} = A_y; \quad \frac{1-\nu}{2} = B_y; \quad \frac{3-\nu}{2} = C_y.$$

მოცემული ბადის θ წერტილისათვის, ზემოთმოყვანილი განტოლებათა სისტემის (2) ამოხსნისათვის ვიყენებთ ბადეთა მეთოდს.

სასაზღვრო პირობად ცილინდრული გარსისათვის მიღებულია ოთხივე მხრიდან თავისუფლად დამაგრებული კიდეები, ჩამაგრებულია მხოლოდ გარსის ოთხივე კუთხე.

გარსთა ტექნიკური თეორიის თანახმად ადვილად ხდება მოცემული სისტემის ამოხსნა u , v და w გადაადგილებებში და მიღებული სიდიდეების მიხედვით ირჩევა ბადეთა მეთოდის გამოყენებით გარსის თითოეული დანაყოფი წერტილისათვის w სიდიდე და ხდება მისი რეგულირების საკითხის გადაწყვეტაც.

ცილინდრული გარსის ექსპერიმენტალური მოდელის პარამეტრების გამოყენებით ჩატარებულ იქნა სტატიკური და დინამიკური გაანგარიშება პროგრამა „SAP-2000 student“-ის გამოყენებით.

თეორიული და ექსპერიმენტალური შედეგები გარსის ვერტიკალური გადაადგილებისათვის საკოჭის ავტომატური რეგულირების ჩართვამდე და ჩართვის შემდეგ მოყვანილია ცხრილის სახით (ცხრ. 1).

ცხრილი 1

წერტილების №	სასრულო-სხვაობის მეთოდით A3CM-ის ჩართვამდე მმ-ში	SAP-2000 student A3CM-ის ჩართვამდე მმ-ში	ექსპერიმენტული მნიშვნელობები წერტილების ჩაღუნვების A3CM-ის ჩართვამდე მმ-ში	ექსპერიმენტული მნიშვნელობები წერტილების ჩაღუნვების A3CM-ის ჩართვის შემდეგ მმ-ში
1.	$w_1 = -0,17$	$w_1 = 1,5657$	$w_1 = -1,531$	$w_1 = -2922$
2.	$\sqrt{w_2^2 + v_2^2} = 3,324$	$w_2 = -0,0844$	$w_2 = -1,432(1,351)$	$w_2 = -3572(3,124)$
3.	$\sqrt{w_3^2 + u_3^2} = -0,021$	$w_3 = -1,2316$	—	—

ცხრილის მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ საკოჭის ავტომატური რეგულირების შედეგად საშუალოდ შეიძლება გარსში ჩაღუნვების ცვლილება

$$n_{f.sas} = 1,9 \text{ (ექსპერიმენტალური მონაცემებით).}$$

სხვაობა თეორიულ და ექსპერიმენტალურ შედეგებს შორის გამოწვეულია გარსის დიდი გადაადგილებებით მისი თხელკედლიანობის გამო (რასაც არ ითვალისწინებს გარსთა წრფივი თეორია), აგრეთვე სასრულო-სხვაობის მეთოდის უხეში ბადის არჩევით და სხვა.

მიუხედავად აღნიშნული სხვაობებისა, ცხადად ჩანს, რომ ავტომატური მართვის საშუალებით შესაძლებელია გარსებში ძაღვების და ჩაღუნვების რეგულირება.

ლიტერატურა
Literature
Литература

1. Strustural control, North-Holland SM Punlication, 1979, 810 p.
2. Избранные задачи по строительной механике и теории упругости. Под ред. проф. Н.П. Абовского, Москва, Стройиздат, 1978.
3. В.З. Власов. Избранные труды, том I, Изд-во АН СССР, 1962, 261 с.
4. П.М. Варвак, Л.П. Варвак. Методы сеток в задачах расчeтс строительных конструкции. Москва, Стройиздат, 1977, 122 с.
5. А.Р. Ржаницын. Строительная механика. Москва, Высшая школа, 1982, 130 с.
6. I.K. Melashvili, O.A. Tkeshelashvili. Auromatic Regularion of Deflection and Cylindtical Shells, Proceeding of the International IASS Symposium, 2-6 September, 1991, Copenhagen, Denmark. voluve III page 31-34.

რეზიუმე

სივრცითი კომბინირებულ კონსტრუქციებში დეფორმაციებისა და ძალვის რეგულირება ელექტრომექანიკური და ბოჭკოვან-ოპტიკური სენსორების გამოყენებით

ი. მელაშვილი, ლ. ბალანჩივაძე, ი. ბაკურაძე

ექსპერიმენტულად შესწავლილია ცილინდრულ გარსებში ძაღვებისა და დეფორმაციების რეგულირების საკითხები ელექტრომექანიკური და ბოჭკოვან-ოპტიკური სენსორების გამოყენებით. დადგინდა, რომ ძაღვებისა და დეფორმაციების ავტომატური რეგულირების შედეგად შესაძლებელია გარსებში ჩაღუნვების ცვლილებების დადგენა. თეორიულ და ექსპერიმენტალურ შედეგებს შორის აღმოჩნდა გარკვეული სხვაობა, რაც გამოწვეულია გარსის დიდი გადაადგილებით, მის თხელკედლიანობის გამო, რის ანგარიშსაც არ ითვალისწინებს გარსების გაანგარიშების ცნობილი თეორიები, ხოლო ელექტრომექანიკური და ბოჭკოვან-ოპტიკური სენსორების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გარსებში ძაღვებისა და დეფორმაციების რეგულირებას.

SUMMARY

About deformation and regulation of force in the electromechanical and fibrous-optical gauge used in a place has united constructions

I. Melashvili, L. Balanchivadze, I. Bakuradze

Regulation of cylindrical coverings and deformations with use of elestromechanical and fibrous-optical gauges is experimentally studied. It seems, that by means of force and deformation regulation, began possible to see changes in cobetings. There are distinctions between treorelical and experimental parts. It is caused by moving of a covering because of a thin is wall stat is not considered in the well-known theories of calculation of coverings. Use electromechanical and fibrous-optical gauges, does possible to adjusr force and deformation.

РЕЗЮМЕ

О деформации и регулировании силы в электромеханическом и волоконном-оптическом датчике, используемом в месте объединил сооружения

И. Мелашвили, Л. Баланчивадзе, И. Бакурадзе

Экспериментально изучено регулирование цилиндрических покрытий и деформации с использованием электромеханических и волоконно-оптических датчиков. Кажется, что с помощью силы и деформации автоматической регуляции, стало возможным видеть изменения в покрытиях. Есть различия между теоретическим и экспериментальными частями. Это вызвано перемещением покрытия из-за тонкой стены, что не учтено в значенитых теориях вычисления покрытия. Использование электромеханических и волоконных-оптических датчиков делает возможным регулировать силу и деформацию.


კომპიუტერულ დანაშაულებათა მასშტაბები და აქედან მომდინარე საფრთხეები

ოთარ შონია,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

დავით შონია, ნინო ცომაია, ირაკლი გოგოხია,
სტუ-ს მაგისტრანტები

ფაქტია, რომ ინტერნეტი დიდი სისწრაფით ყალიბდება როგორც სერიოზული პროფესიული გარემო, ასევე ფაქტია ისიც, რომ ე.წ. კომპიუტერული დამნაშავეები, მათ შორის ჰაკერები, სხვადასხვა სახის ვირუსების შემქმნელები უფრო ხშირად ცდილობენ თავიანთი ჩვევებიდან მიიღონ მატერიალური სარგებელი. ისინი სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის ე.წ. „ტროას ცხენის“ სახელწოდებით ცნობილი მავნე პროგრამების გამოყენებით, ცდილობენ კომპიუტერებიდან მოიპარონ ღირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად ინტერნეტში შეღწევის პირადი პაროლები, საკრედიტო ბარათების ნომრები, საბანკო ანგარიშებთან და კომერციულ დოკუმენტებთან შეღწევის კოდები და სხვა მრავალი.

კომპიუტერულ დამნაშავეებს გააჩნიათ მთელი „არსენალი მეთოდებისა“, რათა შეტევები განახორციელონ ინტერნეტის (და არა მარტო) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომსახურების სფეროზე, როგორცაა ელექტრონული ფოსტა (ნახ. 1).



(ნახ. 1)

ამ შემთხვევაში, უმეტეს წილად, გადასაცემი ინფორმაციის კოდირება არ ხდება და მისი გადაცემა ხდება ჩვეულებრივი ტექსტით.


წერილის ხელში ჩაგდება შესაძლებელია გამგზავნისა და ადრესატს შორის ნებისმიერ წერტილში თუ გამოიყენება სპეც. ტექნიკა და შუალედურ სერვერებზე დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფა.

თუ გადაცემის მომენტში ადრესატის (მიმღების) საფოსტო სერვერი მიუწვდომელია, მაშინ წერილის გადაგზავნა ხდება მიმღების რეზერვულ საფოსტო სერვერზე (თუ ასეთი სერვერის არსებობაზე ინფორმაცია ცნობილია) ან ელ. ფოსტის სერვერზე, რომელიც გამგზავნის სერვერზე ცნობილია როგორც

შუალედური სერვერი საფოსტო გზავნილებებისა, შემდეგში გაგზავნის ფუნქცია გადადის ასეთ სერვერზე.

გავრცელებულია გამგზავნის ან მიმღების კომპიუტერში შედგენის გამოყენება კონკრეტული შეტყობინების ხელში ჩასაგდებად. ამ შემთხვევაში, ლოკალურ კომპიუტერში ყენდება ფარული პროგრამა (მაგალითად პროგრამა „ტროას ცხენი“) ბოროტგანმზრახველის საფოსტო მისამართზე შემაგალი და გამომავალი გადამისამართებისათვის. ეს მეთოდი კარგია მხოლოდ კონკრეტული პირის ელ. ფოსტის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ გამოუსადეგარია პირთა ჯგუფის წინააღმდეგ სამოქმედოდ, ვინაიდან იზრდება მსხვერპლის კომპიუტერებზე გარეშე პირის ყოფნის აღმოჩენის რისკი.

კომპანიის საფოსტო ტრაფიკის ხელში ჩაგდებისას შეტყვის ობიექტი, როგორც წესი, ხდება კორპორაციის საფოსტო სერვერი. ამ შემთხვევაში შეტყვათა განხორციელების ვარიანტები ძალზე დიდია, თუმცა შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საფოსტო სერვერის გატეხვა რაღაც მიზეზით შეუძლებელია. მაშინ ბოროტგანმზრახველს უნდა ჰქონდეს შედგენის შესაძლებლობა კავშირგაბმულობის ხაზების შუალედურ კვანძებში, რომლის მეშვეობითაც საფოსტო ტრაფიკი ვრცელდება კომპანიის დაცულ ქსელსა და ინტერნეტს შორის. აქ აუცილებელია გამოყენებული იქნას სპეციალური პროგრამა (ნახ. 2), რომელიც გაანალიზებს მთელ ტრაფიკს ინტერნეტსა და კომპანიის ქსელს შორის და გამოყოფს შემაგალი და გამომავალ შეტყობინებებს.



სპეც. პროგრამა
ნახ. 2

ელექტრონულ ფოსტაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ამ სერვისს გააჩნია მთელი რიგი უპირატესობანი, რაც განაპირობებს მის ფართოდ გავრცელებას. ეს უპირატესობებია:

- ა) შეტყობინებათა მიწოდების მაღალი სიჩქარე;
- ბ) ადრესატისათვის შეტყობინების გარანტირებული მიწოდება;
- გ) კონფიდენციალობა.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა ძალზე მწვავედ დგას ინტერნეტ მომსახურების ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. დიდ საფრთხეს წარმოადგენს ელ.ფოსტის მისამართების „გაჟონვა“ (აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი საზოგადოებრივი სერვერი უბრალოდ ვაჭრობს აღნიშნული ინფორმაციით). გარდა ამისა პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სტანდარტული ფოსტის ოქმებით გადაცემული ინფორმაცია ღიაა, თანაც არცერთი სტანდარტული ოქმი ელ. ფოსტისა (SMTP, POP3, IMA P4) არ შეიცავს დაშიფვრის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფდა მიმღებლის კონფიდენციალობას. ფაილები შეიძლება წაკითხული იქნას ბოროტგანმზრახველის მიერ. უფრო მეტიც, ადამიანთა უმეტესობას ავიწყდება, რომ ინტერნეტი ესაა საზოგადოებრივი ადგილი და რომ ელ. ფოსტა, სანამ ის მიაღწევს დანიშნულ ადგილს გაივლის რამოდენიმე კომპიუტერს და „მოგზაურობისას“ შეიძლება მოხდეს მისი პერლუსტრაცია.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ყალბი წერილებისა და მისამართების შექმნა, წერილების გაყალბება (SMTP-ს არ გააჩნია ავტორიზაციისა და მთლიანობის შემოწმების მექანიზმი).

აქვე შეიძლება დავასახელოთ პოტენციური ბოროტგანმზრახველების კატეგორიები:

- 1) ოფისში მომუშავე პერსონალი;
- 2) პროვაიდერებისა და შუალედური საკომუნიკაციო კვანძების ტექნიკური პერსონალი;
- 3) სპეციალური სახელმწიფო სამსახურები.

რუსეთში, მაგალითად არსებობს სპეციალური სამსახური СОРМ (система специальных оперативно-розыскных мероприятий), რომელსაც შეუძლია სპეციალური პროგრამულ-აპარატურული საშუალებები დააყენოს სატელეკომუნიკაციო კომპანიების კუთვნილ ფართზე.

- 4) კერძო დაცვის ფირმები. ზოგიერთი ასეთი ფირმა აწარმოებს ინფორმაციის არაკანონიერ შეგროვებას და გაყიდვას. მაგ.: მოსკოვში ასეთ ფირმებს შეუძლიათ არა მარტო სატელეფონო საუბრების ჩაწერა, არამედ ელ. საფოსტო წერილების ხელში ჩაგდებაც.
- 5) ხაკერები. ექსპერტთა აზრით ხაკერების შესაძლებლობები აშკარად გაზვიადებულია, მაგრამ მათი შესაძლებლობების იგნორირება არ შეიძლება.

სამწუხაროდ აქ მოყვანილი მაგალითებით არ ამოიწურება ქსელური შეტევების სახეები, ისინი ისევე მრავალფეროვანია როგორც სისტემები, რომელთა წინააღმდეგაც ეს შეტევები ხორციელდება.

მოვიყვანო ზოგიერთ საშიშ შეტევათა სახეებს.

საშიშ შეტევათა რიცხვს განეკუთვნება „უარი მომსახურებაზე“ ანუ D_{os} შეტევა – (D_{os} - Denial of service), რომელიც არაა გამიზნული თქვენს ქსელში შეღწევისათვის ან თქვენი ქსელიდან რაიმე ინფორმაციის მიღებაზე. D_{os} შეტევა ქაელს ხდის მიუწვდომელს ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ქსელის, ოპერაციული სისტემის ან გამოყენებითი პროგრამების ფუნქციონირების დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბების გზით.

მსგავსი შეტევისაგან თავდასაცავად ექსპერტები გვთავაზობენ შემდეგ მეთოდებს:

1) თუ თქვენს ქსელის მარშრუტიზატორებზე და ქსელურ ეკრანებზე სწორადაა ორგანიზებული აუტენტიფიკაციის ფუნქცია, მაშინ D_{os} შეტევის რისკი შეიძლება შემცირდეს. ეს ფუნქციები უნდა მოიცავდნენ მინიმუმ RES 2827 ფილტრაციას. თუ ბოროტგანმზრახველი ვერ შეძლებს მოახდინოს თავისი პიროვნების მარკირება, მაშინ ძნელი წარმოსადგენია, რომ მან გაბედოს შეტევის განხორციელება.

2) არსებობს ანტი D_{os} ფუნქცია, რომლის სწორი გამოყენებაც ასევე საშუალებას იძლევა შემცირდეს მსგავსი შეტევების რისკი. ამ ფუნქციის მეშვეობით ხდება დროის ნებისმიერ მომენტში ნახევრად ღია არხების რაოდენობის შეზღუდვა.

3) ტრაფიკის მოცულობის შეზღუდვა (traffic rate limiting) – ორგანიზაციამ შეიძლება პროვაიდერს თხოვოს ტრაფიკის შეზღუდვა. ამ ტიპის ფილტრაციით შესაძლებელია შემცირდეს თქვენს ქსელზე გამავალი არაკრიტიკული ტრაფიკის მოცულობა. ამის მაგალითია ICMP ტრაფიკის მოცულობის შეზღუდვა, რომელიც გამოიყენება წრედების დიაგნოსტიკისათვის. საქმე ისაა, რომ D_{os} შეტევები ხშირად იყენებენ ICMP ტრაფიკს.

როგორც აღვნიშნეთ, ბოროტგანმზრახველი ცდილობს რა იპოვოს თავისი ქმედებებით ქსელში სარგებელი, ხშირად მიმართავს პაროლებზე შეტევას, რომლისათვისაც იყენებს მთელ რიგ მეთოდებს: უბრალო გადარჩევა (brute force attack), „ტროას ცხენი“, IP - სპუფინგი და პაკეტების სნიფინგი. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლის სახელი და პაროლი შეიძლება მოპოვებული იქნას IP-სპუფინგისა და პაკეტების სნიფინგით, ბოროტგანმზრახველები ცდილობენ ფართოდ გამოიყენონ სხვის ქსელში შეღწევის სხვადასხვა მეთოდები.

აღნიშნული სახის შეტევის შესუსტება (და არა თავიდან აცილება) შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

1) დაშვების კონტროლი - ექსპერტთა აზრით, უმარტივეს მეთოდად IP-სპუფინგის ასაცილებლად ითვლება დაშვების კონტროლის სისტემის სწორად ორგანიზება.

2) REC 2827 ფილტრაციის გამოყენება.

3) დამატებითი აუტენტიფიკაციის საუკეთესო საშუალებად ითვლება კრიპტოგრაფია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, მაშინ კარგი შედეგის მიღება შესაძლებელია ე. წ. ორფაქტორიანი აუტენტიფიკაციით ერთჯერადი პაროლების გამოყენებით.

რაც შეეხება პაკეტების სნიფერს - ესაა გამოყენებითი პროგრამა, რომელიც იყენებს ქსელურ რუქას და მუშაობს promiscuous mode რეჟიმში (ამ რეჟიმში ყველა პაკეტს, რომელიც მიიღება ფიზიკური არხებით, ქსელური ადაპტერი აგზავნის გამოყენებით პროგრამასთან). ამ დროს სნიფერი მოიტაცებს ყველა ქსელურ პაკეტს, რომელიც გადაიცემა გარკვეული დომენის გავლით. დღეისათვის სნიფერები ქსელში მუშაობენ სავსებით კანონიერად. ისინი გამოიყენებიან ქსელის დიაგნოსტიკისა და ტრაფიკის ანალიზისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ზოგიერთი გამოყენებითი პროგრამები გადასცემენ მონაცემებს ტექსტური ფორმით (telnet, FTP, SMTP, POP3 და ა.შ.), სნიფის მეშვეობით შეიძლება გავიგოთ სასარგებლო ინფორმაცია, ზოგჯერ – კონფიდენციალურიც (მაგ.: მომხმარებელთა სახელები და პაროლები).

ექსპერტები პაკეტების სნიფინგისგან მომდინარე საფრთხის შესამცირებლად გვთავაზობენ შემდეგ საშუალებებს:

1) აუტენტიფიკაცია – აუტენტიფიკაციის საშუალებები პაკეტების სნიფინგისგან დაცვის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად აღიარებული;

2) კომპუტირებადი ინფრასტრუქტურა – იგულისხმება ქსელში კომპუტირებადი ინფრასტრუქტურის შექმნა;

3) ანტი-სნიფერები – ესაა სპეციალური პროგრამები ან აპარატურული საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ ქსელში მომუშავე სნიფების ამოცნობა;

4) კრიპტოგრაფია, ამ შემთხვევაში ინფორმაცია სრულადაა დაცული გამჟღავნებისაგან.

გამოყენებითი პროცესების დონეზე შეტევებიც მრავალნაირია. ყველაზე უფრო გავრცელებულია პროგრამული უზრუნველყოფების (sendmail, HTTP, FTP) სუსტი მხარეების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც ბოროტგანმზრახველებს შეუძლიათ შეაღწიონ კომპიუტერებში, იმ მომხმარებლების სახელით, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ამ გამოყენებით პროგრამებთან (ჩვეულებრივ ეს არის არა უბრალო მომხმარებელი, არამედ პრივილეგირებული, სისტემური დაშვების მქონე ადმინისტრატორი). გამოყენებით დონეზე განხორციელებული შეტევებისას პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ბოროტგანმზრახველები ხშირად იყენებენ იმ პორტებს, რომელთაც ქსელთშორისი ეკრანის გავლის ნება აქვთ. ამ დონეზე შეტევების სრულად აცილება შეუძლებელია. ხაკერები ძალზე ხშირად აქვეყნებენ ინტერნეტში მონაცემებს სხვადასხვა პროგრამების სუსტი მხარეების შესახებ. ამ შემთხვევაში მთავარია სისტემური ადმინისტრირების სწორად წარმართვა.

ქსელური შეტევის სახეებს განეკუთვნება ქსელური დაზვერვა, რომელიც გულისხმობს ქსელზე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მონაცემების და გამოყენებითი პროცესების მეშვეობით. რომელიმე ქსელის წინააღმდეგ შეტევის განხორციელებისას ბოროტგანმზრახველი, როგორც წესი, ცდილობს მასზე მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ქსელური დაზვერვა ხორციელდება DNS შეკითხვათა ფორმით, ექო-ტესტირებით (ping sweep) და პორტების სკანირებით. DNS შეკითხვები საშუალებას იძლევიან გაგებულ იქნას თუ ვინ ფლობს ამა თუ იმ დომენს და ამ დომენებს რა მისამართები აქვთ მიკუთვნებული. ექო-ტესტირება DNS-ის მეშვეობით გაგებულ მისამართებისა საშუალებას იძლევა დაინახოთ თუ მოცემულ მომენტში რეალურად რომელი ჰოსტები მუშაობენ. ჰოსტების სიის მიღების შემდეგ ბოროტგანმზრახველი მიმართავს პორტების სკანირებას, რათა

დადგინდეს იმ მომსახურებათა სრული სია, რომლებსაც ეს ჰოსტები ახორციელებენ და ბოლოს ბოროტგანმზრახველი ანალიზებს ჰოსტებზე რეალიზებულ გამოყენებით პროცესებს, რის შედეგადაც მოიპოვება ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც ხდება გატეხვა.

არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მავნე პროგრამებს, რომლებიც ავრცელებენ კომპიუტერულ ვირუსებს და უდიდეს ზიანს აყენებენ, როგორც ცალკეულ მომხმარებლებს, აგრეთვე მთლიანად იმ საქმიან სამყაროს, რომელიც ინტენსიურად სარგებლობს ინტერნეტით. ვირუსებისაგან დაცვასთან დაკავშირებით ექსპერტთა ერთი ნაწილი პესიმისტურადაა განწყობილი. ზოგიერთი მათგანი იმასაც კი წინასწარმეტყველებდა, რომ ვირუსების გამო მსოფლიო ქსელი 2004 წლისათვის თავის არსებობასაც კი შეწყვიტავს. რეალური სურათი კი დღეისათვის ასეთია. ბრიტანული კომპანიის Sophos AntiVirus უფროსი ტექნიკური მრჩევლის განცხადებით, ამ ფირმის მიერ მიმდინარე წელს გამოვლენილ იქნა ორჯერ ნაკლები ვირუსი, ვიდრე წინა წლებში.

დასავლეთის ექსპერტების დიდი ნაწილი ანტივირუსულ ფრონტზე არსებულ მდგომარეობას უკავშირებენ 11 სექტემბრის ამბებს. აშშ-ში ამას წინათ ჩატარებულ ხაკერების კონფერენციაზე გამოჩნდა, რომ მომხდარი ტერაქტის გამო ახალგაზრდებს შორის ვირუსების წერა არ არის ისეთ პატივში, როგორც გასულ წლებში იყო. ძლიერი დარტყმა კომპიუტერულ მავნებლებს მიაყენა ანტიტერორისტულმა კომპანიამ – ამჟამად ამერიკაში მიღებული „პატრიოტის აქტის“ და „კიბერუსაფრთხოების გაძლიერების აქტის“ შესაბამისად ხაკერებს და ვირუსული ეპიდემიის ავტორებს ემუქრებათ ათი წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ციხეში ყოფნა. ყველაფერი ამის წყალობით მნიშვნელოვნად შემცირდა ინტერნეტში ვირუსების კონსტრუქტორი პროგრამების „გააკეთე თვითონ“ რაოდენობა.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ექსპერტებს, რომ ყოველთვის მოიძებნება ვირუსის დაწერისა და გავრცელების მსურველი და მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა დაუშვებელია ყურადღების შესუსტება ამ სახის კომპიუტერული დანაშაულობათა მიმართ.

საინტერესოა ბრიტანული ფირმის Netcraft-ის საკმაოდ პარადოქსალური მოსაზრება, რომ ვირუსები მიუხედავად ყველაფრისა თამაშობენ დადებით როლს WWW უსაფრთხოებისათვის. ვირუსები დამანგრეველია, მაგრამ მათ სააშკაროზე გამოაქვთ ბოროტგანმზრახველების საქმიანობა. ბოროტგანმზრახველი ცდილობს შეუმჩნეველად შევიდეს სერვერში და იქ დააყენოს პროგრამა, რომელიც მას საშუალებას მისცემს მოიპაროს მისთვის საინტერესო ინფორმაცია, მაგრამ ის ამას ვერ შეძლებს თუ სერვერი მოდიფიცირებულია. სერვერის მოდიფიკაციის მიზეზად კი სწორედ მორიგი ახალი ვირუსების შემოტევა გვევლინება.

ლიტერატურა

Literature

Литература

1. Гаикович В. Ю., Ерцов Д. В. Основы безопасности информационных технологии. М.: изд-во “Мифи”, 1995.
2. Мелников В. В. Безопасность информации в автоматизированных системах. М.: Финанси и статистика, 2003.

რეზიუმე

კომპიუტერულ დანაშაულებათა მასშტაბები და აქედან მომდინარე საფრთხეები

ო. შონია, დ.შონია, ნ. ცომაია, ი. გოგოხია

ნაშრომში ვრცლადაა მიმოხილული ინტერნეტში კომპიუტერულ დანაშაულებათა მეთოდები, საშუალებები და მასშტაბები, მოცემულია ფართოდ გავრცელებული საფრთხეთაგან დაცვის რეკომენდაციები.

SUMMARY

Scale of computer crime and proceeding danger

O. Shonia, D.Shonia, N. Tsomaia, I. Gogokhia

There are considered the methods, possibilities and scales of computer crime in Internet, also is given wide spread recommendations about the safety measures in the work.

РЕЗЮМЕ

Масштабы компьютерных преступлений и отсюда исходящие опасности

Шония О., Шония Д., Цомаия Н., Гогохия И.

В работе широко рассмотрены методы, возможности и масштабы компьютерных преступлений в интернете, даны широко распространённые рекомендации о мерах безопасности.